


იპეი +

ერთვითური ჟურნალი გეგლუდუი შესაძლებლობის მქონე პირებისათვის
№ 11 (59) ნოემბერი 2015 წ.



ცხელი ხაზი გეგლუდუი შესაძლებლობების საკითხებზე

„მაკლეინის ასოციაციაში ბავშვებისათვის“ ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ და მიიღონ ინფორმაცია, როგორც ჩვენს, ასევე იმ ორგანიზაციების სერვისების შესახებ, რომლებიც მუშაობენ გეგლუდუი შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე.

სამუშაო საათები: ორშაბათი, პარასკევი, 10⁰⁰-18⁰⁰

ცხელი ხაზი: 558 055 588; 599 588 226

www.macgeorgia.org



სამკურნალო
მცენარეები

10:00 - 18:00
შაბ. 10:00 - 16:00

დაკეტილია
CLOSED



მალაზიის ღარაჯი

ISSN 1987-7161
977198771600

მთავარი რედაქტორი

თეიმურაზ მიქიაშვილი
593 33 58 87
info.imediplus@gmail.com

რედაქტორი

მაია ასაკაშვილი
asakashvili_maia@yahoo.com

დიზაინერი

მეგი ლაფაჩი

გამომცემელი

კავშირი „იმედი პლიუსი“

დავუქმებულები

თეიმურაზ მიქიაშვილი
კარლო მუხაკუდიანი
ალექსი მუხაკუდიანი
გიგი მუხაკუდიანი
მიხეილ მიქიაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია

ქ.თბილისი, 0179, ზ.ფალიაშვილის ქ. N47^ბ, მე-2 სადარბაზო, ბინა 12.
0 800 900 902
pr_imediplus@yahoo.com
info.imediplus@gmail.com
ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილის“ სტამბაში.
თბილისი, 0163, ჩუბინაშვილის ქ.N50

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებმა
მზიურის პარკში ხეები დარგეს 2

გაეროს ბავშვთა ფონდი წარმოადგენს მონაცემთა
ახალ ინტერნეტ-პორტალს მტკიცებულებებზე
დაფუძნებული პოლიტიკის ხელშესაწყობად 2

სტუმრად ცნობილი თურქი მსახიობი მურატ ილდირიმი 3

ადაპტირებული ფიზიკური გარემო შშმ პირებისთვის 3

კიდევ ერთი დიდი წარმატება 4

კონფერენცია ჩხორონწყუში 5

სემინარი ადაპტირებული ფიზიკური აღზრდის და სპორტის
სპეციალისტის პროფესიული სტანდარტის დასადგენად
ანუ „პირველი ნაბიჯებიდან ოლიმპიურ თამაშებამდე“ 5

პროექტით, ომბუდსმენისთვის საქმის მასალების
გადაცემის ვალდებულება კერძო პირებსაც ექნებათ 6

რეკომენდაცია მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ შშმ
პირთათვის მისანვლომობის უზრუნველყოფის თაობაზე 7

ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად
2016 წელს სახელმწიფოს კრიზისული ცენტრი გაიხსნება 8

სახალხო დამცველის აპარატში ცხელი ხაზი ამუშავდა 9

შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის,
დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის
საკონსულტაციო საბჭოს შეხვედარა 9

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი -
საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (N603) 10

მხარდაჭერა საუკეთესო საშუალებაა სტრესის დასაძლევად 11

ჩემი თვალთ დანახუალი პოლონური გამოცდილებები 15

მეტყველების განვითარება და დარღვევის ფორმები 18

მოსწავლე და მასწავლებელი 20

მოსაზრება ცხოვრების არსზე 22

„არ ვიცი, რომ დავდიოდი, მაშინ უფრო საინტერესო
იყო ჩემი ცხოვრება თუ ახლა“ - გოგონა, რომლის
წერილმაც ინტერნეტსივრცე ააფეთქა 24

სევდიანი სიმღერა გიტარასტან ერთად 26

სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევა - დისლექსია 27

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი
(ADHD) და მისი ამხსნელი მოდელები 30

SOS! დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს ნაქირავები
ფართი მათი მდგომარეობის გამო დაატოვებინეს 32



**ჟურნალი გამოდის „მაკლეინის
ასოციაცია ბავშვებისათვის“ მხარდაჭერით.**

ყდაზე განთავსებული ფოტოების ავტორი თეიმურაზ მიქიაშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი, ჟურნალისტის მიერ ჩანერგილი აუდიო-მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზია არ მიიღება. ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოების გადაბეჭდვა, რედაქციასთან შეთანხმების გარეშე, აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

ჟურნალი გამოდის 2008 წლის ოქტომბრიდან
ჟურნალს თან ახლავს 4-4 გვერდიანი ინგლისურ და რუსულენოვანი ჩანართები

ახალი ამბავი

მეგობრობის ნარგავი მზიურს

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებმა მზიურის პარკში ხეები დაიარსეს



მზიურის“ პარტნიორი. დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მზიურის განახლება გაგაერთიანეთ და ნერგები აქ დავრგეთ.

მსგავსი აქტივობა ბავშვებისთვისაც მნიშვნელოვანია: მიწასთან ურთიერთობა და სხვა ადამიანებთან კონტაქტი მათ განწყობას და მდგომარეობას აუმჯობესებს“, – ამბობს ლია ტაბატაძე.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებმა პარტიზან მეზღვრებთან ერთად მზიურის პარკში ნერგები დარგეს.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა მშობელთა კავშირის „ჩვენი ბავშვების“ ხელმძღვანელი, ლია ტაბატაძე, ამბობს, რომ მათმა ორგანიზაციამ ეს ღონისძიება პროექტ „ახალ მზიურს“ დაუკავშირა.

„დღევანდელი ღონისძიება დაკავშირებულია ოქტომბერთან, რომელიც დაუნის სინდრომის შესახებ ცნობადობის ამაღლების თემა და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად აღნიშნავენ. ჩვენც გვინდოდა, რაღაც სიმბოლური გაგვეკეთებინა. ჩვენი ორგანიზაცია არის პროექტ „ახალი

გაეროს ბავშვთა ფონდი წარმოადგენს მონაცემთა ახალ ინტერნეტ-პორტალს მხიციებულთა და ფუნქციონალური პოლიტიკის ხელშეწყობად



თბილისი, 3 ნოემბერი, 2015 წ. დღეს გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) საქართველოს წარმომადგენლობა ასაჯაროვებს ინტერნეტ-პორტალს, სადაც განთავსებულია ქალებისა და ბავშვების მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი კვლევების მონაცემები. მონაცემთა პორტალზე - <http://data.unicef.ge> - განთავსებულია ყველა ძირითადი კვლევა, რაც იუნისეფს ბოლო წლებში ჩაუტარებია.

ვებ-გვერდი მოიცავს როგორც სხვადასხვა კვლევის ანგარიშებს, ასევე მონაცემთა ბაზებს, რომლებიც საშუალებას მისცემს პოლიტიკის შემქმნელებსა და მკვლევარებს, გამოიყენონ მონაცემები საკუთარი საჭიროებებისათვის.

„მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და გავრცელება იუნისეფის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია,“ ამბობს საშა გრაუმანი, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში. „ჩვენ ვეხმარებით საქართველოს მონაცემთა შეგროვებაში კვლევების ჩატარებითა და ქვეყნის შესაძლებლობების გაძლიერებით. ხარისხიანი მონაცემები არსებითია ეფექტიანი პოლიტიკის და პროგრამების დასაგეგმად. ჩვენ ვთანამშრომლობთ საქართველოს მთავრობასა და სხვა პარტნიორებთან, რომ ბავშვებთან დაკავშირებული ძირითადი პოლიტიკური ინტერვენციები ეფუძნებოდეს ხარისხიან მონაცემებსა და მტკიცებულებებს. მაგალითად, იუნისეფის ბავშვთა სიღარიბის კვლევის შედეგად მიღებული

გაგრძელება →

მონაცემების გათვალისწინებით გადაისინჯა სოციალური დაცვის მთელი სისტემა, აღნიშნა გრაუმანმა.

ვებ-პორტალი მონაცემთა ონლაინ ანალიზის საშუალებას იძლევა სტატისტიკური პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე. მომხარებლები შეძლებენ კვლევების და გამოკითხვების მონაცემთა სრული ბაზების ჩამოტვირთვას სიღრმისეული ანალიზისთვის. პორტალის მიზანია პოლიტიკის განვითარების, დაგეგმვისა და ადვოკაციებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების კვლევისა და ანალიზის ხელშეწყობა.

„მტკიცებულებები და მონაცემები აგრეთვე მნიშვნელოვანი საშუალებაა ადვოკაციებისათვის. ისინი გვეხმარებიან გამოვავლინოთ ხარვეზები და აღვიჭურვოთ საჭირო ფაქტებითა და ინფორმაციით, გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და შესაბამის აუდიტორიაზე გავლენის მოხდენისა და სასურველი შედეგების მიღწევისათვის. ველით, რომ ჩვენს მონაცემებს გამოიყენებენ პოლიტიკის შემქმნელები, პროგრამის მენეჯერები, მკვლევარები, სამეცნიერო წრეები, სტუდენტები, სამოქალაქო საზოგადოება და მედია ვითარების მონიტორინგისა და ასევე, ბავშვებისთვის უკეთესი პოლიტიკის ადვოკაციებისა და შემუშავების მიზნით,“ განაცხადა გრაუმანმა.

მონაცემთა პორტალი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://data.unicef.ge>



გლობალთა ხიდი სტუმრად ხნობილი თურქი მსახიობი მურატ ილდირიმი



ჩვენი ბენეფიციარების სურვილების გათვალისწინებით, თბილისის მერიის მრჩეველის ქალბატონი ნინელი ფუტყარაძის და წარმატებულ ქალთა ორგანიზაციის პრეზიდენტის ანა რეხვიაშვილის ორგანიზებით, მოხდა ცნობილი თურქი მსახიობის მოწვევა ა/ორგანიზაცია „მშობელთა ხიდ“-ში. მათივე ორგანიზებით, თითოეულ ბენეფიციარს, პედაგოგებმა გამოკითხეს სურვილები, "თუ რა გაუხარდებოდათ ყველაზე მეტად". გადავეცით აღნიშნული წერილები და სწორედ, მათი დამსახურებით, ჩვენს ბენეფიციარებს კიდევ ერთი ლამაზი და ფერადი დღე ჰქონდათ.

რეგიონი კვანთბრუნული უიზიკური კარგეო უფე პირუბისთვის



ქეთევან ჭილაძე

24 ოქტომბერს ქალაქ ტყიბულში „ტყიბულქალაქობა“, აღინიშნა.

ზეიმზე სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად ორგანიზაცია „ნაბიჯი ტყიბულის“, წარმომადგენლებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე იზრუნეს. მათი ძალისხმევითა და სხვადასხვა უწყებების ჩართულობით, ქალაქ ტყიბულში სოციალური მომსახურების სააგენტოს შენობაზე დამონტაჟებული პანდუსი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.

პანდუსის მიშენების სამუშაოები „საქნახშირი

გაგრძელდება ➔



ჯი – აი – ჯი ჯგუფის,, სრული დაფინანსებითა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დახმარებით განხორციელდა.

საზეიმო ლენტი ორგანიზაცია „ნაბიჯი ტყიბულის,, დამფუძნებელმა გიგა სოფრომაძემ და გუბერნატორის პირველმა მოადგილემ პაატა ნადირაძემ ერთობლივად გაჭრეს.

პანდუსის გახსნას იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის პირველი მოადგილე პაატა ნადირაძე, ვიცე გუბერნატორები გიორგი ჭიღვარია და იოსებ ხახალეიშვილი, გამგებელი რობიზონ გვენეტაძე, საკებულოს თავმჯდომარე თამაზ კუბლაშვილი, ტყიბულის

მაჟორიტარი დეპუტატი ქალბატონი ელისო ჩაფიძე, საქართველოს პარლამენტის სხვა წევრები და სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. სტუმართა შორის იყვნენ ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი მეუფე გიორგი შალამბერიძე სასულიერო პირებთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ ადილობრივი მთავრობის, ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული მსგავსი პროექტი რეგიონში პირველია. ასევე აღსანიშნავია, რომ პანდუსი და კიბეები, რომელიც „ნაბიჯი ტყიბულმა,, გააკეთა, ქალაქ ტყიბულის ისტორიაში პირველია, რომელიც სრულად აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტებს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე,,.

ეს არის პირველი ერთობლივი პროექტი რეგიონში,სადაც ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაცია და ადგილობრივი მუნიციპალიტეტი კოორდინირებულად მუშაობენ.ერთობლივი ძალისხმევით ტყიბულში გაკეთდა პანდუსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რათა ფიზიკური გარემო მათთვის იყოს ადაპტირებული, ხელმისაწვდომი , რომ თანაბარ პირობებში შეძლონ გადაადგილება და საზოგადოებაში ინტეგრაცია. ადაპტირებული ფიზიკური გარემოს მოწყობა და მსგავსი პანდუსების გაკეთება იგეგმება ტყიბულის თეატრის, სამთო ინსტიტუტისა და სხვა შენობებზე.

„მადლობას ვუხდით ყველას, ვინც ჩართული იყო და კვლავაც აპირებს მსგავსი პროექტების განხორციელებას” - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ორგანიზაცია „ნაბიჯი ტყიბულის,, დამფუძნებელმა -ბატონმა გიგა სოფრომაძემ.

პარასპორტი

კიდევ ერთი დიდი წარმატება



ქართველმა პარამოფარკავემ, ირმა ხეცურიანმა „ბე,, კატეგორიის მონაწილეთა შორის ხმლით შეჯიბრებაში წელს კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია. ამჯერად, ირმამ მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპი მოიგო. 30 წლის პარასპორტსმენმა პარიზში გამართულ ტურნირზე 6 მეტოქის დამარცხება შეძლო. ხეცურიანი ფინალში პოლონელ პატრიცია ჰარეზას დაუპირისპირდა და მეტოქე 15:9 დაამარცხა. საფრანგეთის დედაქალაქში მიღწეულ წარმატებამდე კი წელს ირმამ კიდევ ერთ წარმატებას მსოფლიო ჩემპიონატზე მიაღწია.

სექტემბერის დასაწყისში უნგრეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ხმლით მოფარკავეთა შორის მან მეორე ადგილი დაიკავა. სამწუხაროდ, ხმლით ფარკაობა არაპარალიმპიური სახეობაა და სალიცენზიო ქულებს არ იძლევა, თუმცა ქართველი პარამოფარკავის მიღწევა, მაინც დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.



კონფერენცია ჩხორონყუში



კოალიცია "სოციალური რეფორმებისათვის" ინიციატივითა და ორგანიზებით - ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ დათო გოგუას მხარდაჭერითა და თანადგომით - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩხორონყუს რაიონული განყოფილების დახმარებით 30 ოქტომბერს ჩხორონყუს ისტორიული მუზეუმის სააქტო დარბაზში გაიმართა კონფერენცია შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

კონფერენციას უძღვებოდა პარტნიორი ორგანიზაცია „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“ სპეციალისტები: ნეიროფსიქოლოგი თათია მჭედ-

ლიშვილი, ოკუპაციური თერაპევტი ნინო ჭუმბურიძე და შშმ ბავშვის მშობელი ნანა ლომაძე.

კონფერენციას ესწრებოდნენ ჩხორონყუში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მშობლები, "ბავშვთა ადრეული განვითარების" პროგრამის ინტერვენციონისტები, სპეც-პედაგოგები და სოფლის ექიმები.

კოალიციის ხელმძღვანელის თამარ ფოფხაძის თქმით, კონფერენციის მიზანი იყო ბავშვებთან არსებულ პრობლემებთან და არსებულ რესურსთან დაკავშირებით ცნობიერების გაზრდა. დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის სხვადასხვა ტექნიკების გამოყენების მნიშვნელობა, სენსორული სტიმულაცია, ქცევის მართვა და ემოციური პრობლემები და ზოგადად ბავშვის განვითარების დარღვევები და რეაბილიტაცია. ასევე კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებას შორის კომუნიკაციის დამყარება და ურთიერთ-თანამშრომლობის ჩამოყალიბება, არსებული სოციალური სერვისების შესახებ და მათ მნიშვნელობაზე ინფორმაციის მიწოდება."

დიდი მადლობა „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის" თანამშრომლობისათვის.

კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის



სემინარი აღაპყუში უიზიყუში აღზრდის და სპორტის სემინარისთვის პროფესიული სტანდარტის დასაფუძნებლ ანუ „კიჩქული ნაბიჯებიდან ოლიმპიურ თამაშებამდე“

თეიმურაზ მიქიაშვილი

მიმდინარე წლის 7-8 ნოემბერს ქ. თბილისის N 198-ე საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში ჩატარდა სემინარი, რომელიც მიეძღვნა ადაპტური ფიზიკური აღზრდის და სპორტის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტის დადგენას.

სემინარის ფასილიტატორები იყვნენ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი ქალბატონი მერი ლომია და განათლების დოქტორი ადაპტური ფიზიკური აღზრდის მეცნიერებაში ქალბატონი ელისო მურვანიძე.



სემინარში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის მთავარი მწვრთნელი გია წასიძე, კავშირი ადაპტური ფიზიკური აღზრდის მაგისტრი ანა ნაზლაიძე, ადაპტური ფიზიკური აღზრდის ბაკალავრი ნინო გამხიტაშვილი, N 198-ე საჯარო სკოლის ფიზიკური თერაპევტები ნაილი კალმახელიძე და ლია ნონიაშვილი, N134-ე საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებელი მარიამ ლოღელიანი, ქ. ქუთაისის კოლეჯ „ელიტა“-ს სამკურნალო ფიზიკულტურის მასწავლებელი გია ქართველიშვილი, საქართველოს სპორტის დამსა-

ხურებული მუშაკი, ადაპტური ფიზიკური აღზრდის ექსპერტი თეიმურაზ მიქიაშვილი.

მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, თუ რამდენად დიდია უმძიმესი ტრავმების შედეგად დაკარგული შრომისუნარიანობის აღდგენის შესაძლებლობები. რამდენად დიდი ეფექტურობით შეიძლება დაკარგული შრომისუნარიანობის აღდგენა სწორი, მიგნებული ხერხებით და მეთოდებით. კერძოდ, ადაპტურ ფიზიკურ აღზრდასა და ადაპტურ სპორტში ინტენსიური (დოზირებული) კუნთური მოქმედებებით სისტემატური მეცადინეობის შედეგად.

ადაპტური ფიზიკური აღზრდის შედეგია ის, რომ ამ პროცესში აღდგენილი შესაძლებლობებით სპორტსმენები დიდი წარმატებით მონაწილეობენ ისეთ გრანდიოზულ სპორტულ შეჯიბრებებში, როგორც პარალიმპიური და სპეციალური ოლიმპიური თამაშებია. ასევე დიდი წარმატებით ტარდება სურდოლიმპიური და ტიფლოლიმპიური თამაშები და შესაბამისი მსოფლიო და კონტინენტური დონის შეჯიბრებები. თითქმის სრულად ხდება შშმ პირების დიდ საზოგადოებაში ინტეგრაცია.

როგორც ვხედავთ, ამ პროცესის სპეციალისტებს დიდი მისია აკისრიათ - აღუდგინონ და ასწავლონ ტრავმების და სხვა გამომწვევი მიზეზების შედეგად დაკარგული მოძრაობითი უნარ-ჩვევები. მათი სლოგანი ასეთია „პირველი ნაბიჯებიდან ოლიმპიურ თამაშებამდე“.

დიდი ხანია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში და კოლეჯებში ამზადებენ ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და ადაპტური სპორტის სპეციალისტებს. ეს სემინარი იმის დასტურია, რომ ჩვენს ქვეყანაშიც მომზადდება აღნიშნული დარგის სპეციალისტები, რომელიც დიდად წაადგება ჩვენს საზოგადოებას.



ობოლსმენის აპარატი

პროექტით, ობოლსმენისთვის საქმის გასაღების გაღაცემის ვალდებულება ჩრდო პირებსაც ექნებათ

ნათია ამირანაშვილი

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში“, ცვლილებების პროექტი წარმოადგინა, რომელსაც დღეს ბიუროს სხდომამ მსვლელობა მისცა.

აღნიშნული კანონის მე-8 მუხლში ჩნდება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, თუ კერძო პირები ან საჯარო დაწესებულებები არ წარმოადგენენ მოთხოვნილ ინფორმაციას (საქმის განხილვასთან დაკავშირებულ მასალას, საბუთს, ახსნა - განმარტებასა და სხვა), ხოლო საქმეში არსებული მასალები ქმნის დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის შესახებ გონივრული ვარაუდის საფუძველს და საჩივარში/ განცხადებაში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს მოთხოვნას, საჩივარი/განცხადება დაკმაყოფილდება.

გაგრძელება ➔



აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი ვერსიით, კერძო პირს სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის გადაცემის ვალდებულება არ გააჩნია და ამის გაკეთება მხოლოდ ნებაყოფლობით შეუძლია. კანონპროექტით კი საქმის განხილვასთან დაკავშირებული საბუთების გადაცემის ვალდებულება კერძო და ფიზიკურ პირებზეც გავრცელდება.

საკითხთან დაკავშირებით, კიდევ ერთი ცვლილება „სახალხო დამცველის შესახებ“ კანონში შედის.

ამ ცვლილებით, ორგანული კანონის 24-ე მუხლს ემატება სიტყვები: „ფიზიკური და

კერძო სამართლის იურიდიული პირი„. შედეგად კი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს გაუჩნდებათ ვალდებულება, დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ საქმეებზე განიხილონ რეკომენდაცია და მათი განხილვის შედეგები აცნობონ სახალხო დამცველს.

დღეს მოქმედი ნორმით კი სახალხო დამცველის რეკომენდაციისა და წინადადების განხილვის ვალდებულება მხოლოდ საჯარო დაწესებულებებს აქვთ.

კიდევ ერთი ცვლილება შედის „სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“, რის მიხედვითაც სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა 3 თვის ნაცვლად, ერთი წლის განმავლობაში იქნება შესაძლებელი, მას შემდეგ, რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია.

აღნიშნული კანონპროექტები სახალხო დამცველი აპარატის ავტორობითაა მომზადებული.

ჩაკოვანდასია მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ შუბ პირთათვის მისანვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე



2015 წლის 28 ოქტომბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, უზრუნველყოს მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობის პროექტით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების და „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპის გათვალისწინება, რათა მეტროსადგურის ყველა კომპონენტი (მიწისქვეშა და მიწისზედა შენობები, მეტროდან ამოსასვლელები, ესკალატორები და სხვ.) ხელმისაწვდომი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ სამშენებლო სამუშაოები 2015 წლის 28 ივლისიდან განახლდა, თუმცა სადგურის მისანვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული არ არის. აღნიშნულის ძირითად მიზეზად საბჭოთა პერიოდის ნორმების შესაბამისად უკვე აშენებული გვირაბების და სხვა ნაგებობების კონსტრუქციისა და გეომეტრიული პარამეტრების შეცვლასთან დაკავშირებული პრობლემები სახელდება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სხვების თანასწორად ვერ სარგებლობენ ფინანსურად ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებით – თბილისის მეტროთი, რის გამოც დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებიან. სახელმწიფო არ ზრუნავს საკითხის კომპლექსურ გადანყვეტაზე – არსებული მეტროსადგურების ინფრასტრუქტურის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებაზე. უფრო მეტიც, ახალი მეტროსადგურის მშენებლობის პროცესში,

ხელისუფლება არ გეგმავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებას, რაც მათი უფლებების დარღვევასთან ერთად, გამოიწვევს სამომავლოდ დამატებითი რესურსის ხარჯვას მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“, ინფრასტრუქტურის ადაპტირებისთვის.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, გაეროს კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, მისი დებულებების შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ნებისმიერი, განსაკუთრებით კი, ახალი/განახლებული შენობა-ნაგებობის, ტრანსპორტისა თუ კომუნიკაციის მისანვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის „უნივერსალური დიზაინის“, პრინციპების მაქსიმალური გამოყენებით. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს საერთაშორისო ხელშეკრულების პირობების დარღვევას, ადამიანის ძირითადი უფლებების უგულვებელყოფას და ვერ გამართლდება ტექნიკურ ან/და ფინანსურ პრობლემებზე მითითებით

<http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/>

ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად 2016 წელს სახელმწიფოს კრიზისული ცენტრი გაიხსნება



„საქართველოს ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“, ხელმძღვანელი ქალბატონი ნატო შავლაყაძე ძალადობის მსხვერპლი ადამიანებისთვის თავშესაფრების პრობლემაზე და სახელმწიფოს კრიზისული ცენტრის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობს. როგორც მან პორტალ „კვირას“, პრესკლუბში განაცხადა, „საქართველოს ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელს“, ამ დროისთვის 2 თავშესაფარი აქვს, სახელმწიფოს ბაზაზე კი 3 თავშესაფარი არსებობს, თუმცა, ადგილების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ დაზარალებულები თავშესაფრის გარეშე რჩებიან.

„ჩვენს ქსელს საქართველოში ორი თავშესაფარი გააჩნია, მთლიანობაში 18 ადგილით. კომიტეტები კი

საქართველოს ყველა რეგიონში გვაქვს და ვცდილობთ, აღნიშნული პრობლემა სახელმწიფოსთან ერთად დავძლიოთ. გარდა არასამთავრობო ორგანიზაციის კუთხით არსებული თავშესაფრებისა, არსებობს სახელმწიფო სამი თავშესაფარი თბილისში, გორსა და ქუთაისში. ძალიან მალე ერთი თავშესაფარი კახეთშიც გაიხსნება. თუმცა, თითო 17-20 ადგილია, რაც არ არის საკმარისი. ცალკე პრობლემაა ისიც, რომ სახელმწიფო თავშესაფარში განთავსების წესები განსხვავებულია და სანამ მსხვერპლი სტატუსს არ მიიღებს, თავშესაფარში ვერ განთავსდება,“ – აღნიშნა ნატო შავლაყაძემ.

მისივე ინფორმაციით, არსებული თავშესაფრების ხელმძღვანელებს მუდმივი კოორდინაცია გააჩნიათ და აქტიურად თანამშრომლობენ, თუმცა კონკრეტულ თავშესაფარში ადგილი თავისუფალი არ არის, ერთნაშეთს სთხოვენ დახმარებას: „აქტიურად გვეხმარება საპატრიარქო. როცა ჩვენთან ადგილები არ არის, საპატრიარქოს თავშესაფარში ხდება მსხვერპლის გადაყვანა.“

როგორც ნატო შავლაყაძემ აღნიშნა, უკვე დაიწყო მუშაობა სახელმწიფო კრიზისული ცენტრის გახსნაზეც, რაც არსებული პრობლემის შესამსუბუქებლად წინგადადგმული ნაბიჯია. ასევე აღნიშნა, რომ ცენტრისთვის თანხები სახელმწიფომ უნდა გამოეყოს, მის მართვას კი სათავეში არასამთავრობო ორგანიზაცია ჩაუდგება.

„ჩვენ მივმართეთ ეკონომიკის სამინისტროს. აუცილებელია სახელმწიფოს კრიზისული ცენტრი გაიხსნას. გვეხმარებიან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, არის მზადყოფნა, რომ სახელმწიფოს მიერ ფართის გადმოცემის შემთხვევაში მისი შეკეთება და აღჭურვა მოხდეს. ცენტრს დააფინანსებს სახელმწიფო, ხოლო მას მართავს არასამთავრობო ორგანიზაცია. ეს მოდელი მუშაობს მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში. კრიზისული ცენტრის გახსნა თბილისში 2016 წელს იგეგმება „ – აღნიშნა „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“, თავმჯდომარემ შავლაყაძემ.

„საქართველოს ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“, ცენტრების რეგიონებში გახსნისთვისაც აქტიურად მუშაობს. შავლაყაძის ინფორმაციით, გურიასა და კახეთში თვითმმართველობებმა ორგანიზაციას გარკვეული ფართი გადასცეს, რომელთა აღჭურვაც პოლონეთის საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება.

სახალხო დამცველის აპარატიში ცხელი ხაზი აეშავდა



2015 წლის ნოემბრიდან სახალხო დამცველის აპარატიში პირველად ამუშავდა ცხელი ხაზი სატელეფონო ნომრით – 1481. ცხელი ხაზი სახალხო დამცველის ახალი საპილოტე პროექტია, რომელიც მოქალაქეებს კომუნიკაციის ბევრად უფრო მოქნილ და ეფექტურ მექანიზმს სთავაზობს. იგი ყოველდღიურად, ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მოქალაქეებისგან მიიღებს ინფორმაციას სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებების მხრიდან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სავარაუდო დარღვევებზე, მათ შორის, წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტებზე.


ნებისმიერ პირს, ვინც თვლის, რომ თავად განიცდის წამებას და სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, აქვს სიცოცხლის მოსპობისა თუ ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე, ან დაექვემდებარა უკანონო დაკავებას, დაპატიმრებას თუ თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვას, აგრეთვე, ოჯახურ ძალადობას, ან არის ასეთი ქმედების თვითმხილველი, დაგვიკავშირდეს ცხელ ხაზზე.

ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების შემდეგ, სახალხო დამცველის აპარატის რეაგირების ჯგუფი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში სავარაუდო უფლებადარღვევის ადგილზე მივა. თუმცა, სანყის ეტაპზე, რეაგირების ჯგუფი მხოლოდ თბილისის ტერიტორიაზე იმუშავებს.

ცხელი ხაზის ამოქმედება მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობას, უფლებადარღვევებზე დროულ რეაგირებას, სახალხო დამცველის აპარატისადმი ნდობის ხარისხის ამაღლებას.

ცხელი ხაზის ნომერზე – 1481 დარეკვა შესაძლებელია როგორც ადგილობრივი (სტაციონარული), ასევე მობილური ოპერატორების ნომრებიდან.

შპს პირთა უფლებების ჯონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა



2015 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს მეორე სამუშაო შეხვედრა/სხდომა გაიმართა. შეხვედრას საქართველოს სახალხო დამცველი, მისი მოადგილეები, აპარატის წარმომადგენლები და საბჭოს მონვეული წევრები ესწრებოდნენ.

საბჭოს წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის წევრების შერჩევის პროცესი

და კრიტერიუმები; კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მიმდინარეობა და სამომავლოდ განსახორციელებელი აქტივობები.

საბჭო ერთხმად შეთანხმდა, რომ ერთი თვის ვადაში მოხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის წევრების შერჩევა საბჭოს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად, სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში ჩაერთვებიან საბჭოს მონვეული წევრები. პარალელურად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის მიერ მომზადდება მონიტორინგის ჯგუფის დებულება, რომელიც დამტკიცებამდე გაეგზავნება საბჭოს მონვეულ წევრებს შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით.

სხდომაზე ასევე დაიგეგმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მიზნით უახლოესი თვეების განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები, რომელიც, მათ შორის, მოიცავს კონვენციის რამდენიმე მუხლის იმპლემენტაციის მონიტორინგს.

საბჭოს შემდეგი შეხვედრა გაიმართება 2 თვის ვადაში, სადაც განიხილება კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის პროცესის მიმდინარეობა. საბჭოს მონვეულ წევრებს ეთხოვათ სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდონ შემდეგი შეხვედრის დღის წესრიგით გასათვალისწინებელი მათთვის საინტერესო საკითხები.

<http://www.ombudsman.ge/ge/news/>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანხილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი - საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (N603)

2015 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება N603 კონსტიტუციურ სარჩელთან (საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ) დაკავშირებით.

მოსარჩელე სადავოდ ხდიდა „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების 103-ე მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

სადავო ნორმა განსაზღვრავს რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობას. მოსარჩელე მიუთითებს, რომ რეინტეგრაციის შემწეობა ნაკლებია მინდობით აღზრდის ანაზღაურების ოდენობაზე. მოსარჩელის აზრით, როგორც რეინტეგრაციის, ისე მინდობით აღზრდის შემთხვევაში, ბავშვები, აგრეთვე ბიოლოგიური მშობლები და დედობილი/მამობილი წარმოადგენენ არსებითად თანასწორ პირებს. სახალხო დამცველის აზრით, სადავო ნორმა განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებს არსებითად თანასწორ პირებს, რაც არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, შესაბამისად იგი არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმის მიზანს წარმოადგენს მზრუნველობამოკლებული ბავშვისთვის ოჯახური გარემოს შექმნა. სასამართლომ მიუთითა, რომ, მართალია, შესაძარებელი ჯგუფები წარმოადგე-

ნენ არსებითად თანასწორ პირებს, თუმცა სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირების კონსტიტუციურობის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს რეინტეგრაციისა და მინდობით აღზრდის ინსტიტუტების სამართლებრივი ბუნება.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მინდობით აღზრდის ინსტიტუტი წარმოადგენს სახელმწიფო სერვისს, რომელიც მიმართულია მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის ოჯახური გარემოს შექმნისკენ და ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფო იყენებს სახელმწიფო შეკრულებო, კვაზი შრომით-სამართლებრივ რეგულირებას. კერძოდ, მართალია, მინდობით აღზრდის ანაზღაურება აღემატება რეინტეგრაციის შემწეობას, მაგრამ იგი ბავშვზე ზრუნვის ხარჯებთან ერთად, ემსახურება მიმღები ოჯახის მიერ ბავშვის ოჯახურ გარემოში საცხოვრებლად განუღებელი დედობილის/მამობილის საქმიანობის ანაზღაურებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ არსებითად თანასწორ პირებს შორის დადგენილ დიფერენცირებულ მოპყრობას გააჩნია რაციონალური საფუძველი. სადავო ნორმა აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მოთხოვნებს, შესაბამისად კონსტიტუციური სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მხარდაჭერა საუკეთესო საშუალებას სტრესის დასაქლავად

მაია ასაკაშვილი

სტრესი, მისი ფორმები, გამომწვევი მიზეზები, რა საფრთხეს უქმნის სტრესი ადამიანის ჯანმრთელობას? რატომ არის სტრესი განსაკუთრებული რისკის მატარებელი მოზარდობის ასაკსა და შშმ პირებში? როგორ დავაღწიოთ თავი სტრესს? სტრესის დაძლევის სტრატეგიები და რეკომენდაციები—ამ თემებზე სასაუბროდ მოვიწვიეთ ფსიქო-დიაგნოსტიკის სახლი-„დენდრონის“ ხელმძღვანელი, ნარკოლოგი, ფსიქოთერაპევტი, ფსიქიატრიის დოქტორანტი—მაია ბეგაშვილი.

ქალბატონი მაიას განმარტებით, სტრესი ორგანიზმის ადაპტური რეაქციაა გარემოს შეცვლილ პირობებზე. სტრესი ადამიანის ორგანიზმის განსაკუთრებული მდგომარეობაა, როდესაც იგი თავს დაუცველად გრძნობს. სტრესი ორგანიზმის რეაქციაა მეტისმეტად ძლიერ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ გამღიზიანებელზე,

როგორც ცნობილია, სტრესის შედეგად იმუნური სისტემა ზიანდება, სტრესულ მდგომარეობაში ადამიანი ხშირად ინფექციის მსხვერპლად იქცევა, პირველად ტერმინი „სტრესი“ ვოლტერ ქენონმა შემოიტანა თავის უნივერსალურ ნაშრომში: „ვიბრძოლო, თუ გავიქცე“. შემდგომ სტრესს იკვლევდა კანადელი ფიზიოლოგი ჰანს სელიე, რომელმაც სტრესი „ზოგად ადაპტური სინდრომის“ სახელით მოიხსენია. მანვე გამოყო სტრესის 3 სტადია: 1. განგაშის სტადია (ადაპტური შესაძლებლობების მობილიზაცია); 2. წინააღმდეგობის სტადია; 3. გამოფიტვის სტადია;

დღემდე ეს სტადიები განიხილება სტრესის განვითარების სტადიებად.

სტრესის შესწავლა შემდგომ გოლდსტონმა განაგრძო, რომელმაც სტრესის შემდეგი განსაზღვრება მოგვცა: სტრესი არის ორგანიზმის არასპეციფიკური რეაქცია, ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაზე, რომელიც არღვევს ორგანიზმის ჰომეოსტაზს.

მისი განმარტებით, ეს არის მდგომარეობა, რომელსაც ორგანიზმის დასუსტება და ორგანოთა სისტემის ფუნქციათა დარღვევა ახასიათებს, ტერმინი „სტრესი“ ინგლისური სიტყვაა და დაძაბულობას ნიშნავს.

ქალბატონო მაია, რამდენჯერ არსებობს სტრესი და რა არის მისი გამომწვევი მიზეზი?

მედიცინაში, ფსიქოლოგიაში, ფიზიოლოგიაში გამოყოფენ სტრესის შემდეგ სახეს:

1. დადებითი ხასიათის სტრესი (ეუსტრესი)— მისი გამომწვევი დადებითი ემოციაა;
2. უარყოფითი სტრესი ანუ დისტრესი—გამომწვევი უარყოფითი ემოციაა.
3. სტრესი ემოციონალური კომპონენტით-



ამ შემთხვევაში ორგანიზმზე არასახარბიელო გავლენის შედეგად აქტიურდება ვეგეტატიური ნერვული სისტემა, ხოლო შემდგომ ენდოკრინოლოგიური ცვლილებები ხდება.

4. ფსიქოლოგიური სტრესი— ფსიქოლოგიური სტრესი აღწერილია ლაზარუსის შრომებში, რომელმაც მოგვცა სტრესის კოგნიტიური თეორია. ძლიერმომქმედი სტრესი აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას.

სტრესი ის მოტივატორია, რომელიც ორგანიზმს აიძულებს, გადარჩეს, რადგან იგი ორგანიზმის ფიზიო-ემოციონალური დაძაბულობაა, რომელიც მხოლოდ იმ გარკვეულ სიტუაციაში ვლინდება, რომელიც ინდივიდისთვის ალიქმება, როგორც რთული სიტუაცია ანდაც გადაულახავი ბარიერი.

რაც შეეხება მიზეზებს, სტრესის მიზეზი შესაძლოა, იყოს შეცვლილი გარე ან შიდა მოთხოვნილებები. შეცვლილი გარე მოთხოვნილებები ახალ ადაპტაციას მოითხოვენ. ასეთები შეიძლება იყოს: საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ახლობელი ადამიანის გარდაცვალება, ყოველდღიური უსიამოვნებები, ფინანსური პრობლემები, ოჯახური ურთიერთობები და სხვა. სტრესის შინაგანი წყარო კი ცხოვრებისეული ფასეულობები, რწმუნებულებები, თვითშეფასება და სხვადასხვა შიდა ფაქტორებია.

ქალბატონო მაია, რას გვეტყოდით სტრესის ფორმების შესახებ?

სტრესი ადამიანმა შეიძლება მიიღოს, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ემოციისგან, რომელსაც ემოციონალური ზედდება აქვს ფონად. დაქორწინება, ქორწინების აღდგენა, ახალ სოციალურ ადაპტაციაში გადასვლა ორგანიზმისათვის შესაძლებელია დადებითი ემოცია იყოს, გამომწვევი მიზეზი, რომელიც ზღვარს გარეთ არის გასული, ორგანიზმისთვის სასიხარულო იმპულსების მომცემია, დადებით ემოციას აღ-



რავს, მაგრამ განიხილება, როგორც სტრესორი, რომელიც არღვევს ორგანიზმის ჰომეოსტაზს და აიძულებს მას, ახლებურად შეეწყოს შეცვლილ გარემო – ფაქტორებს.

რაც შეეხება უარყოფით სტრესს, ემოციას, უარყოფით ემოციონალურ რეაქციებზე ბაზირებს, აქ შეიძლება განიხილებოდეს გარდაცვალება, სამსახურის დაკარგვა. უარყოფითი ემოციის დროს ყველაზე დიდი საშიშროება ემოციაზე ფიქსაციაა. როდესაც ემოციაზე ფისქირებულ ორგანიზმს აღარ შეუძლია, ადადგინოს თავისი ბუნებრივი ჰომეოსტაზი და ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირება.

რაც შეეხება სტრესის ფორმებს, სხვადასხვაგვარი არსებობს:

1. მწვავე - გამომწვევი მაღალამპლიტუდიანი დაძაბულობაა.

2. ქრონიკული - დაბალამპლიტუდიანი გამღიზიანებლის მუდმივი მოქმედება.

ქალბატონო მათა, როგორც ცნობილია, სტრესი ანგრევს ადამიანის ჯანმრთელობას, მას მძიმე სომატური და ფსიქიკური დაავადებების გამომწვევა შეუძლია. რა შეიძლება იყოს სტრესის ძირითადი წყარო, რა ძირითადი გართულებები მსოფს მას?

სტრესის განხილვისას აუცილებელია შევეხოთ სტრესორს, რომელიც სტრესის გამომწვევის უშუალო მიზეზი ხდება. ეს არის არასპეციფიკური გამღიზიანებელი, რომლის კლასიფიცირება ასეთი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. ფიზიოლოგიური (ტკივილი, ხმაური, ჰიპერთერმია, სხვადასხვა პრეპარატები, ნარკოტიკები და სხვა);

2. ფსიქოლოგიური (ინფორმაციული გადატვირთვა, შეჯიბრი, სოციალური სტატუსის დაკარგვის შიში, თვითშეფასება, ახლობელთა წრე და ა.შ.);

სტრესორთა კლასიფიკაცია ტიპობრიობის მიხედვით ასეთია:

1. სამშობიარო სტრესორები; 2. შიმშილის სტრესორები; 3. წყურვილის სტრესორები;

4. ტკივილის სტრესორები; 5. დაღლილობის სტრესორები; 6. იზოლაციის სტრესორები.

შეგვიძლია მაგალითად მოვიტანოთ 10 ყველაზე გავრცელებული სტრეს-ფაქტორი:

1. მეუღლის გარდაცვალება; 2. განშორება; 3. განქორწინება; 4. თავისუფლების აღკვეთა;

5. სიკვდილი ან ახლობელი ადამიანის ავადმყოფობა; 6. ტრავმა ან დაავადება;

7. დაქორწინება; 8. სამსახურიდან გათავისუფლება; 9. ქორწინების აღდენა;

10. პენსიაზე გასვლა.

სტრესორთა ტიპების გათვალისწინებით, სტრესის ფორმები ასე კლასიფიცირდება:

1. ფიზიოლოგიური; 2. ფსიქოლოგიური; 3. ინფორმაციული; 4. ემოციონალური.

ქალბატონო მათა, ვინ შეიძინა რისკ-ჯგუფში?

რისკ – ჯგუფში შეიძლება შედიოდეს ის ადამიანი, რომელსაც ახასიათებს ემოციონალური, ფიზიოლოგიური, ფიზიკური არამდგრადობა. რისკ-ჯგუფში შეიძლება განვიხილოთ ქალები, რომელთაც ვერ გადაჭრეს ასაკობრივი კრიზისი, ბავშვები, ისინი მონყვლადი არიან, დაიმკვიდრონ სასიცოცხლო გარემო, ასევე შშმ პირები, როცა საკუთარ ოჯახში მათი მიღება უჭირთ, ისინი რისკ-ჯგუფში ხვდებიან. განსკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ადაპტაციის მექანიზმები დასუსტებული აქვთ. სტატისტიკით ცნობილია, ქალები უფრო მეტად ექვემდებარებიან სტრესს, ყველა ადამიანი, რომელთაც გარკვეული სახის ადაპტაციის პრობლემა აქვთ, რისკ-ჯგუფის მატარებელია.

ქალბატონო მათა, შესაძლებელია თუ არა ხანგრძლივმა სტრესმა, რომელიც კვირაობით, თვეობით, წლობით გრძელდება, მძიმე დაავადებები გამოიწვიოს? სტრესს ორი რეაქცია გააჩნია: ბრძოლა და გაქცევა. ბრძოლის დროს ძირითადი ემოცია არის მრისხანება და აგრესია, გაქცევის დროს – შფოთვა და ნუხილი. როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს ადამიანი?

როცა ვლავარაკობთ ხანგრძლივმოქმედ სტრესზე, ჯერ უნდა ვისაუბროთ სტრესორის რაობაზე. სტრესორი შეიძლება იყოს დაბალამპლიტუდიანი, მაგრამ მუდმივმოქმედი, ქრონიკული, რაც იწვევს სხვადასხვა სახის დაავადებას, ასეთ სტრესორად განიხილება ბაზისური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა. მას-ლოუმ გამოყო 7 ბაზისური მოთხოვნილება, რომელთა დაუკმაყოფილებლობა იწვევს მოთხოვნილებათა ბლოკირებას და მის ფონზე სტრესის განვითარებას.

ეს მოთხოვნილებებია: ფიზიოლოგიური, უსაფრთხოება, დაფასებულობა, სიყვარული, ცნობადობა, ესთეტიკური სიამოვნების მოთხოვნილება, თვითაქტუალიზაცია, როცა ხდება ამ მოთხოვნების ბლოკირება, გარეშე ან ენდოგენური მიზეზის გამო, ვითარდება სტრესი.

ჩვენ აღვნიშნეთ სტრესის 2 რეაქცია: მრისხანება და გაქცევა. მრისხანების ფაზა ემსახურება ადაპტური რეაქციის განვითარებას, ამის შემდეგ იქ სადაც სწორად გადაიჭრება ეს ფაზა, უკვე ხდება მდგომარეობასთან შეგუება და ალტრენატიული პრობლემის გადაჭრის ქმედებების დადება. იმ შემთხვევაში, როცა გაქცევა ხდება, მიმდინარეობს ფრსუტრირება, რასაც საკმაოდ მძიმე დაავადებების

ჩამოყალიბებამდე მივყავართ, ეს არის დეპრესია და სხვა, რასაც შედეგად მოსდევს სხვადასხვა სახის პიროვნული გაჩანაგება.

ქალბატონო მაია, რას გვეტყოდით სტრესის ფაზებზე?

სტრესს გააჩნია თავისი დინამიკა: შფოთვის ფაზა, აგზნება ან მწვავე რეაქცია. 1. აგზნება; 2. მდგრადობის ფაზა; 3. გამოფიტვის ფაზა, როცა ვერ ხერხდება სტერსთან გამკლავება.

სელიემ ამ ფაზებს უწოდა ზოგადადაპტური სინდრომის ფაზები.: 1 განგამის ადაპტური შესაძლებლობების მობილიზაციის სტადია; 2. წინააღმდეგობის სტადია, სადაც ორგანიზმი იბრძვის პრობლემის გადაჭრისთვის, მე-3 ეს არის გამოფიტვის, როცა ორგანიზმი იწვევს დაავადებაში წასვლას.

ქალბატონო მაია, რას გვეტყოდით სტრესის მართვის თანამედრვე ფსიქოტექნოლოგიებზე?

თანმედროვე ფსიქოტექნოლოგიად შეგვიძლია, შემოგთავაზოთ, სტრესის დაძლევის მიზნით, სელიეს რეკომენდაციები:

1. თუ ადამიანი იხელმძღვანელებს წესით: მოიქცეს ისე, რომ მოიპოვოს სხვა ადამიანების სიყვარული, გამოიწვიოს გარშემომყოფთა კეთილგანწყობა, ის შექმნის მაქსიმალურ ფსიქოლოგიურ კომფორტს და წარმატების შესაძლებლობებს.

2. ისწრაფით რა გარშემომყოფებთან კარგი ურთიერთობებისთვის, მაინც ნუ დაემეგობრებით „რთულ და თავშეუკავებელ“ ადამიანებს.

ქალბატონო მაია, სტრესის ყველაზე ხშირი გამოვლინებაა გუნება-განწყობილების შეცვლა, შფოთვა, უძილობა. სტრესული ფაქტორის გამოვლენისას ადამიანი დროულად ვერ იძინებს, ქრონიკული უძილობის დროს ორგანიზმში მცირდება მელატონინის გამომუშავება, რაც აღრმავებს დეპრესიის განვითარებას, თქვენი მოსაზრება?.

გეთანხმებით, სტრესის ყველაზე ხშირი გამოვლინებაა გუნება-განწყობილების შეცვლა, ამ დროს არა მარტო უძლობა, იწყება სხვადასხვა მავნე ჩვევების განვითარება, მთელი რიგი ფიზიოლოგიური პროცესების დარღვევა, ამ შემთხვევაში არა მარტო დეპრესიული რეაქციები, ზოგადად დამოკიდებულებათა სინდრომების

განვითარება სხვადასხვა სტრესულ ფაქტორებზეა დამოკიდებული,

ქალბატონო მაია, რა ხიფათის გამოწვევა შეუძლია სტრესს? სტრესის დროს ადამიანები უარყოფითი ემოციების დათრგუნვისა და ნეგატიური დაძაბულობის მოხსნის მიზნით, ხშირად ბევრ საკვებს მიირთმევენ, რაც იწვევს ჭარბ წონას და გულ-სისხლძარღვთა დაავადებას, როგორია თქვენი მოსაზრება?

სტრესის შედეგად შესაძლოა, განვითარდეს შემდეგი ხიფათი:

ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და მავნე ჩვევებში გადასვლა, ერთ-ერთია წონის პრობლემა, რომელიც პოსტ-სტრესულ სინდრომად შეიძლება განვიხილოთ, ასევე წამალთდამოკიდებულება, ჭარბი წონა იწვევს გულსისხლძარღვთა სისტემის დარღვევას. რაც შეეხება თვითმკურნალობას, დაუშვებელია. როცა საუბარია რომელიმე დამოკიდებულების განვითარებაზე, უნდა ვუმკურნალოთ გამომწვევ მიზეზს და არა სიპტომს.

რატომ არის სტრესი განსაკუთრებული რისკის მატარებელი მოზარდობისას და შშმ პირებთან ურთიერთობაში?

სტრესი ყველაზე დიდი ზიანის მომტანია მოზარდებისათვის, რადგან მოზარდობის ასაკი ტრანსფორმაციის ასაკია. ამ პერიოდში ხდება საკუთარი რაობისა და ვინაობის მოსაზრება, ღირებულებათა და რწმუნებულებათა სრული კომპლექტით შეიარაღება ზრდასრული ცხოვრებისთვის, თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზების მყარი საყრდენების მოძიება. სტრესი კი ხელს უშლის მოზარდის ჰარმონიულ ადამიანად ჩამოყალიბებას. ვითარდება სხვადასხვა სახის ფობიები, საკუთარ თავში ჩაკეტილობა, დაბალი თვითშეფასება, სხვადასხვა სახის ფსიქიკური აშლილობები. უხშირესი მიზეზი სტრესის განვითარებისა არის მშობელთა განქორწინება, ძალადობა, სიცოცხლის ხელყოფლის საშიშროების სიტუაციები, ახლობელთან განშორება ან მისი სიკვდილი.

პოსტ-სტრესული სიმპტომები მოზარდთა ასაკში ასე გამოიყურება: ჩაკეტილობა, მარტოდ ყოფნის მოთხოვნილება, გულმავიწყობა, ადვილად დაღლილობა, ძილის სხვადასხვა სახის დარღვევები, ჩაძინების გაძნელებით, ყურადღების ნაკლებობა, გუნება-განწყობის ხშირი ცვლა, პერიოდული ჰიპერაქტივობა. მოზარდობის ასაკში სტრესორების მოქმედება ხელს უშლის პროცესებს და მოზარდის განვითარებას.

სტრესისადმი ასევე მონყვლადი არიან განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები. მათში ეს სიმპტომები უფრო მწვავედ ვლინდება და მდგომარეობის ზოგად გაუარესებას იწვევს. ამ შემთხვევაში სტრესორებში საჭიროა, განვიხილოთ ყურადღების, მზრუნველობის, სიყვარულისა და სიტბოს ნაკლებობა. შშმ პირს ზოგ შემთხვევაში უჭირს ემოციების მართვა, სტრესი ადაპტური





რეაქციაა, მის გაძღოლა შეუძლია ყველას. შშმ პირებთან მიმართებაში საჭიროა სოციუმისა და გარემოს კეთილგანწყობა, სიმშვიდის ფონის შექმნა, სტრესის ფონზე თუ განვითარდა, მაგლითად, დეპრესია, საჭიროა ანტიდეპრესანტის ჩართვა, შიშებისა და ფობიების დროს საჭიროა ფსიქოთერაპევტთან მიმართვა. როცა შშმ პირთან გავქვეს საქმე, დახმარება მისი საჭიროების მიხედვით უნდა განხორციელდეს. ჩვენგან მიმღებლობა, დიდი სიყვარულის გამოხატვა და მისი უსაფრთხოების უზურუნველყოფაა საჭირო. როცა ჩვენ მასლოუს პირამიდას განვიხილავდით, აღვნიშნეთ, ეს არის ბაზისური მოთხოვნილება. მისი ბლოკირება ადამიანში იწვევს შიშს, ფორიაქს.სწორედ

უსაფრთხოების განცდის არარსებობაა მთავარი, შშმ პირი უფრო მეტად დაუცველია, მისი უსაფრთხოების განცდის უზურუნველყოფა არის მისი გარემოცვის პასუხისმგებლობის ქვეშ, საჭიროა, გადამზადება გაიაროს იმ სოციუმმა, რომელიც შეხებაშია შშმ პირთან. შშმ პირებთან მიმართებაში მთავარი-სიტბო, სიყვარული, სიმშვიდე და მისი საჭიროების დადასტურებაა.

ქალბატონო მაია, რა საფრთხეს უქმნის სტრესი ჯანმრთელობას?

სტრესმა შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმში შემდეგი სახის დარღვევები:

1. ფსიქოლოგიური_ნორმალური ცხოვრების რიტმის დარღვევა (გამოვლინდება გაღიზიანებადობით, შფოთვით და ფორიაქით, შიშებით და ფობიებით, შორს ნასული სიტუაციის შემთხვევაში-აგრესიით).

2. ფიზიოლოგიური _ ქრონიკული დავადებების გამწვავება ან სტრესული ბუნების, სომატური პათოლოგიების ჩამოყალიბება, ფსიქო-სომატური დაავადებების გამოვლენა.

3. მავნე ჩვევებში გადაზრდა_ ვითარდება სხვადასხვა სახის დამოკიდებულებათა სინდრომები: ალკოჰოლდამოკიდებულება, ნამალთდამოკიდებულება, თამაშ და ინტერნეტდამოკიდებულება, საკვებზე დამოკიდებულება.

სტრესი ანგრევს ადამიანის ჯანმრთელობას. სტრესს შეუძლია გაამწვავოს ქრონიკული, გულსისხლძარღვთა, ფსიქიკური აშლილობები და სხვა. პოსტ-სტრესულ ფაქტორს ფსიქიატრიული ჩარევა სჭირდება.

სტრესმა შესაძლოა განავითაროს ფსიქიკური ანომალიები, დაძლევის მეთოდებში მთავარია-სასურველობა, კეთილგანწყობა,ბაზისური მოთხოვნილების შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილება, ჩვენი ღირებულებების იმდაგვარად შეცვლა, რომ ჩვენ მივიღოთ ის მაქსიმუმი, რაც ჩვენს შესაძლებლობაშია.

ქალბატონო მაია, არსებობენ ე.წ. „ენერგოვამპირი“ ადამიანები, რომლებიც სულ უკმაყოფილო არიან ცხოვრებით, მუდამ წუნუნებენ არც სხვისი წარმატება უხარიათ. ასეთი ადამიანის ატანა რთულია გერშემომყოფებისთვისაც, ისინი კარგავენ ცხოვრების ინტერესს, სულ გაღიზიანებულები არიან, თავიანთი უარყოფითი ემოცია გადააქვთ გარშემომყოფებზე, ამის გამომწვევ მიზეზადაც შესაძლებელია, სტრესი მოიაზრებოდეს?

შესაძლებელია. ადამიანის განვითარების პერიოდები შეიძლება დავყოთ ასაკობრივ პეროდებად. ადამიანს ეტაპობრივად უხდება ასაკობრივი კრიზისის გადალახვა, როცა ამას ვერ ახერხებს, ეს არის პრობლემა, რომელზეც ფიქსაცია ხდება. როცა ადამიანი მოუმზადებელი ხდება სხვა ეტაპზე გადასვლას, ცხოვრებისეული პრობლემების მოუგვარებლობა, დაჩქარებული ცხოვრების რიტმი, ფინანსური პრობლემები, სამსახურის დაკარგვა და სხვა არის მიზეზი ამ ყველაფრისა. როდესაც გაბოროტებულ ადამიანზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ადამიანის უკან დგას რაღაც გადაუჭრელი პრობლემა, რომლის მოუგვარებლობაც იწვევს ფორიაქს, სხვადასხვა სახის აგრესიას, შფოთვას. ეს არის მიზანმიმართავი აგრესია, როცა აგრესია მიზანმიმართული ხდება, გადაიზრდება აკვიატებაში. შემდეგ აკვიატებები ვლინდება ქცევით პათოლოგიებში, ასოციალურ ქცევაში, ქრონიკული დაავადებების გამოწვევაში. ცხადია, მნიშვნელოვანია მუდმივი შფოთვისა და განგაშის შეგრძნება, რომელიც გენერალიზდება და ნეგატიური გზით გადადის სხვებზე. პოზიტიური ენერგია გადამდებია, ასვე ნეგატიური ემოცია გავცრობადია, ეს პათოლოგიური ჯაჭვია, რომელიც სტრესის მიზეზი ხდება ადამიანისთვის.

ქალბატონო მაია, როგორ ავიცილოთ სტრესი თავიდან, მალე რომ არ დავბერდეთ და არ დავზიანდეთ?

სტრესი ნამდვილად აჩქარებს დაბერების პროცესს, მთავარია, პოზიტიური განწყობა და დადებით მუხტის მატარებლობა, შეიყვარეთ გარემო და გარემო შეგიყვარებთ თქვენ!

სტრესმა შეიძლება სექსუალური პრობლემებიც გამოიწვიოს, როცა პარტნიორთა პირველი ურთიერთობა მოუმზადებელი, არასათანადო სექსუალური განათლების გამო ხდება სტრესორი. სტრესმა შესაძლებელია, ბუდობრივი თმის ცვენა, ენდოკრინული პრობლემების განვითარება გამოიწვიოს და სხვა, მთავარია, ვიცოდეთ მისი მიზეზი.

ქალბატონო მაია, როგორ ვიცხოვროთ სტრესის გარეშე?

1. ვირწმუნოთ საკუთარი თავის და იმის, რომ გარემო ჩვენდამი კეთილგანწყობილია.

2. გავიგო, რა მინდა ცხოვრებისგან, როგორ მივიღო ის, რაც მინდა რომ მივიღო და რა რესურსები გამაჩნია იმისთვის, რომ ეს ყველაფერი მივიღო.

3. ვიყო კეთილგანწყობილი და რაც შეიძლება მოსიყვარულე.

ქალბატონო მაია, სტრესის დაძლევის რა სტრატეგიებს შემოგვთავაზებდით?

1. ყოველთვის გვახსოვდეს, რომ სტრესი ადაპტური რეაქციაა და ცხოვრებისეულ სირთულეს შევხვდეთ გაგებით, ვიყოთ მობილიზებული მისი დაძლევისთვის;

2. დასვენება და განტვირთვა კარგი საშუალებაა სტრესთან გამკლავებისთვის;

3. სუნთქვითი ვარჯიშები დაგვეხმარება ორგანიზმის ფიზიოლოგიური რეჟიმის მოთხოვნად რეჟიმში გადართვისთვის;

4. ორგანიზმის თვითრეგულაცია სხვადასხვა საშუალებებით;

5. მიორელაქსაცია და ყურადღების გადატანა სხვა მოვლენებისადმი;

6. მიკრო პაუზები ცხოვრებისეულ სირთულესთან გამკლავების დაგეგმვისას;

7. ემოციის შეცვლა სანინაალმდეგო მიმართულებით;

8. ბუნებასთან და ცხოველებთან პერიოდული კონტაქტი თავისთავად ზრდის სტრესმედეგობას;

3. დააფასეთ ცხოვრებისეული სისავსე და

სიხარული, იყავით ბუნებრივი, „ხელოვნურობა“, გარშემომყოფებში უნდობლობას იწვევს.

4. როგორ ცხოვრებისეულ სირთულესაც არ უნდა ნააწყდეთ, იფიქრეთ, ღირს თუ არა ეს ბრძოლა.

მართლაც, ცხოვრებაში ადამიანს უამრავი განცდისა და ემოციის გადატანა უწევს, რომელთა ხანგრძლივ არსებობასაც პიროვნების მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლია. სტრესული სიტუაციიდან გამოსასვლელად, აუცილებელია ნეგატიური ემოციის შემცირება, სპორტით, იოგით, მედიტაციით დაკავება. ეს ყველაფერი დაეხმარება ორგანიზმს, მოდუნდეს, ნეგატიური შეგრძნებებისგან გაინმინდოს და ადვილად გადაიტანოს სტრესი. სტრესის დაძლევის მნიშვნელოვანი გზაა საკუთარი რეალური ქცევის უკეთ გაცნობიერება, პოზიტიური განწყობა და დადებითი ემოცია, სოციალური მხარდაჭერა, რომ იგი უყვართ, მასზე ზრუნავენ და აფასებენ. თუ ადამიანი გრძნობს სოციალურ მხარდაჭერას, იგი მარტივად ახერხებს, როგორც სტრესთან, ისე ყოველდღიურ პრობლემებთან გამკლავებას. მხარდაჭერა – საუკეთესო საშუალებაა სტრესის დასაძლევად!

ჩემი თვალით დანახული პოლონური გამოცდილებები

ესმა გუმბერიძე

მე გახლდით „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრია თბილისისა“, და ადამიანის უფლებათა ჰელსინკის ფონდის მიერ ორგანიზებული სასწავლო ვიზიტის მონაწილე. ეს ვიზიტი ჩატარდა პოლონეთში 4–13 სექტემბერს და მიზნად ისახავდა პოლონეთში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში დისკრიმინაციის გარეშე სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის არსებული მხარდაჭერის სისტემის შესწავლას.

ჩვენი 19 კაციანი ჯგუფი ძალიან მრავალფეროვანი იყო: მასში გაერთიანებულნი იყვნენ შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, შშმ პირთა მშობლები, თავად შშმ პირები, სამინისტროების, პარლამენტისა და მთავრობის კანცელარიის თანამშრომლები, იურისტები და ამ სფეროსთვის ახალი ადამიანებიც კი, ახალგაზრდები. ამ მრავალფეროვნებამ შესაძლებლობა მოგვცა, სხვადასხვა საინტერესო და ფასეული კონტაქტები დაგვემყარებინა და ერთმანეთისთვის განსხვავებული პერსპექტივები გაგვეზიარებინა, რისთვისაც საქართველოს მხრიდან ვიზიტის კოორდინატორს, ქალბატონ ნინო აღდგომელაშვილს დიდ მადლობას ვუხდით. ვიზიტის ფარგლებში მოვინახულეთ უსინათლოთა სკოლა, უსინათლოთა სოციალური სანარმო, სადაც უსინათლო და მცირემხედველი ადამიანები

იყვნენ დასაქმებულნი სატელეფონო მარკეტინგის, ხმოვანი ლიტერატურის ჩანერის, აუდიონიგების გამხმოვანებელი მონყობილობების დამზადების სფეროში, მოვინახულეთ ანალოგიური ტიპის სანარმო, რომელიც გონებრივი შესაძლებლობების შეზღუდვის მქონე პირებისთვის იყო განკუთვნილი; მოვინახულეთ მობილობის/ გადაადგილების შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე და ინტელექტუალური შესაძლებლობების





შეზღუდვის მქონე ბავშვთა სკოლები, რომელთაგან მობილობისა და გონებრივი შესაძლებლობების შეზღუდვის მქონე ბავშვთა სკოლაში ჰყავდათ იპოთერაპიისთვის განკუთვნილი ცხენები, რომლებზეც ბავშვებს სვამდნენ და აჯირითებდნენ, რაც ხელს უწყობდა მათი სხეულის მოტორიკის გაუმჯობესებასა და ცხოველთან კონტაქტით გამონვეულ ემოციურ სიმშვიდეს. ასევე ინტელექტუალური შესაძლებლობების შეზღუდვის მქონე პირთა დაცული საცხოვრისი, სადაც ერთ ოჯახად, ერთ სახლში 9 ადამიანი ცხოვრობდა.

მათგან 1 მუშაობდა კიდეც, დანარჩენები კი რეაბილიტაციისთვის დღის ცენტრში დადიოდნენ. ამ ოჯახური ტიპის დასახლებაში მათ გარკვეული მოვალეობებიც ჰქონდათ: თავიანთი ოთახის დალაგება, საჭმლის მომზადება თანამშრომელთა მეთვალყურეობით და ა.შ.. თანამშრომლებს ბენეფიციარები საყიდლებზე დაჰყავდათ და ეხმარებოდნენ ტანსაცმლისა და სხვა საჭირო ნივთების შეძენასა და ინფორმირებული გადანყვეტილების მიღების პროცესში. ამ არასამთავრობო დაცულ საცხოვრისში მცხოვრებ ბენეფიციართა შეზღუდული შესაძლებლობის შემნობის/პენსიის 70% საცხოვრისს ერიცხებოდა ამ პირებზე ზრუნვის ხარჯების დასაფარად, 30% კი თავად შშმ პირებს რჩებოდათ და სწორედ ამ თანხით ყიდულობდნენ ისინი ტანსაცმელს, რა პროცესშიც მათ თანამშრომლები ეხმარებიან. ვარშავის უნივერსიტეტი, სადაც, თსუ-სგან განსხვავებით, არსებობს შშმ სტუდენტთა ცალკე დეპარტამენტი, რომელიც მათ აკვლიანებს, უზრუნველყოფს საჭირო ტექნიკური საშუალებებითა და ამ საშუალებებით სარგებლობის ტრენინგებით, ასევე თანამშრომლობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შშმ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი გარემოს შესაქმნელად. ვარშავის უნივერსიტეტში ათასზე მეტი სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სწავლობს, მათ შორის მაღალფუნქციონალური აუტიზმის მქონე პირებიც. ამ დეპარტამენტში შშმ პირებიც იყვნენ დასაქმებულნი. ვარშავის უნივერსიტეტში შშმ პირები სხვადასხვა ფაკულტეტებზე სწავლობენ, მათ შორის, ისეთებზეც, სადაც სწავლა მათი შეზღუდული შესაძლებლობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით, უპერსპექტივო ჩანს. მაგ. ერთ-ერთმა სრულიად უსინათლო პირმა დაამთავრა ქიმიის ფაკულტეტი და ამჟამად ლექციებსაც კი კითხულობს ქიმიის ვარშავის უნივერსიტეტში.

საინტერესო იყო უსინათლოთა სკოლის მონახულება, რომლის ბაზაზე ასევე ჰქონდათ პროფესიული სასწავლებლები იმ უსინათლოთათვის, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში არ აპირებდნენ ჩაბარებას. მათ ასწავლიდნენ, მათ შორის, პროგრამირებასა და IT მენეჯმენტსაც. გონებრივი შესაძლებლობების შეზღუდვის მქონე უსინათლო და მცირემხედველი ბავშვები გადიოდნენ მათთვის ადაპტირებულ საგნებს და არა— თბილისის 202-ე უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლასავით, სადაც ყველა ერთ გაკვეთილზე ზის და ერთმა მასწავლებელმა არ იცის, როდის და რა დრო დაუთმოს გონებრივი შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეს და როდის— ამ ტიპის შეზღუდვის არმქონე უსინათლოს, რის შედეგადაც ვერც მეორადი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები იღებენ მათთვის შესაბამის და საჭირო განათლებას და ვერც მეორადი შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე უსინათლო მოსწავლეები.

ასევე ვიყავით შრომის/დასაქმების სამინისტროში და მოვისმინეთ ინფორმაცია პოლონეთის სახელმწიფოს მიერ შშმ პირთა დასაქმების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის ფორმების შესახებ. გამოყოფენ სპეციალურ გრანტებს, რომლებითაც ფინანსდება შშმ პირთა მიერ ჩამოყალიბებული ბიზნესინიციატივები, რომლებიც მათ ბიზნესგეგმების ფორმით შეაქვთ დაფინანსების მოპოვების მიზნით. თუმცა, სამინისტროს თანამშრომლებმა გვითხრეს, რომ, სამწუხაროდ, ამ ბიზნესინიციატივათა უმრავლესობა 3-4 წელზე მეტ ხანს ვერ არსებობს. პოლონური კანონმდებლობის საფუძველზე ყველა სანარმო, რომელსაც ჰყავს 25 და მეტი დასაქმებული თანამშრომელი, ვალდებულია, დაასაქმოს შშმ პირთა დადგენილი რაოდენობა. დასაქმებულ შშმ პირთა რაოდენობა იზრდება სანარმოში დასაქმებულ პირთა ოდენობის ზრდასთან ერთად. ორგანიზაციის/სანარმოს მიერ შშმ პირთა დაუსაქმებლობა ან დადგენილ რაოდენობაზე ნაკლების დასაქმება ინვესს ორგანიზაციის დაჯარიმებას. ჯარიმებიდან შემოსული თანხა ერიცხება სახელმწიფო სააგენტო პეფრონს, რომელიც ამ თანხებით აწყობს დაცულ შრომით სანარმოებს, რომლებიც





განკუთვნილია სპეციალურად შშმ პირთა დასასაქმებლად და ამგვარ სანარმოებში დასაქმებულთა უმრავლესობას შშმ პირები შეადგენენ. პეფრონი ასევე სხვადასხვა მხარდაჭერით უზრუნველყოფს იმ ორგანიზაციებს, სადაც კანონით მოთხოვნილზე მეტი შშმ პირია დასაქმებული (უხდის შშმ დასაქმებულებს ხელფასის გარკვეულ ნაწილს, აფინანსებს სანარმოს სამუშაო გარემოს ადაპტირების მიზნით და ა.შ). სამინისტროს თანამშრომელთა თქმით, მხარდაჭერის ამგვარი მექანიზმებისა და იმის მიუხედავად, რომ ორგანიზაციებს შშმ პირთა დასასაქმებლად და უკვე დასაქმებულ შშმ პირებზე არ უნევთ არავითარი დამატებითი ხარჯის გაღება, მრავალი ორგანიზაცია მაინც ამჯობინებს ჯარიმის გადახდას და არა— შშმ პირის დასაქმებას, თუმცა ხშირად შშმ დასაქმებულები გაცილებით უკეთ ასრულებენ სამსახურეობრივ მოვალეობებს, რადგან მათთვის სამუშაოს მოძიება უფრო რთულია და მუშაობა

არამხოლოდ შემოსავლის წყაროა, არამედ თვითრეალიზაციისა და საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანის საშუალებაა.

ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ერთ—ერთი პოლონური არასამთავრობოს დამფუძნებლის მოსაზრება, რომ პოლონეთში შშმ პირთა თემატიკის გააქტიურებას ხელი შეუწყო ამ პირთა დასაქმებამ. და გარემოს ხელმისაწვდომობაზე, ადაპტირებაზე, უნივერსალურ დიზაინზე მაშინ გახდა შესაძლო რეალისტური საუბარი, როცა დასაქმებული ან სწავლის პროცესში მყოფი შშმ პირები ქუჩაში გამოვიდნენ და გაიზარეს, თუ რა ტიპის ხელშეწყობა დაჭირდებოდათ. მაშინ დაინახა საზოგადოებამაც, რომ შშმ პირთათვის აუცილებელია ხელმისაწვდომი გარემოს შექმნა და შშმ პირებმაც გააცნობიერეს, თუ რა უნდა მოეთხოვათ კონკრეტულად ამ კუთხით. სანამ შშმ პირები სახლებსა თუ სპეცდაწესებულებებში ისხდნენ, თვითონ მათაც არ ჰქონდათ ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რა ტიპის ხელშეწყობა ესაჭიროებათ. ამ იდეას მე სრულებით ვიზიარებ. როცა ბევრი შშმ პირი დასაქმდება და იძულებული გახდება, სამსახურში იაროს, ისინი თვითონ გააცნობიერებენ, რამდენად მოუხერხებელია ჩვენი გარემო მათთვის და შეძლებენ კონკრეტული მოთხოვნების დაყენებას. ამასთან საზოგადოებაც დაინახავს, რომ ეს ხალხი მართლა არსებობს, მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია და მათ ესაჭიროებათ და ისინი გამოიყენებენ ადაპტირებულ გარემოს და ხელმისაწვდომობაზე დახარჯული სახელმწიფო თანხები უაზრო ხარჯი არ არის. ვერავინ ვეღარ იტყვის, რომ პანდუსები რა საჭიროა, მათ მაინც არავინ იყენებსო. ამიტომ მნიშვნელოვანია საქართველოშიც დაიწყოს შშმ პირთა მასობრივი დასაქმება და უმაღლესი თუ პროფესიული განათლების მიღება არასპეციალიზებულ დაწესებულებებში. ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდათა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არაფორმალურ განათლებაში, მოხალისეობრივ და სასტაჟირო აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან და ამ ტიპის ღონისძიებებში შშმ ახალგაზრდათა ჩართვისა და შესაძლებლობების/ მდგომარეობის გამოთანაბრების მიზნით მე დასაშვებად მიმაჩნია გარკვეული დროებითი სპეციალური ღონისძიებების გატარებაც, თუმცა მნიშვნელოვანია, გაიზარდოს შშმ ახალგაზრდათა მონაწილეობა არა სპეციალურად შშმ პირთათვის შექმნილ გაცვლით პროგრამებში, ტრენინგებში, სასტაჟირო/ სამოხალისეო შესაძლებლობებში, არამედ—საყოველთაოდ, ყველა ახალგაზრდისთვის ღია მისაწვდომ აქტივობებში შშმ ახალგაზრდათა ინტეგრაცია.

ასევე შესამჩნევი იდეოლოგიური განსხვავება დავინახე არასამთავრობოთა წარმომადგენელთა შეხედულებებსა და სახელმწიფო სტრუქტურების ანდა იმ დაწესებულებათა თანამშრომელთა შეხედულებებს შორის, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ შშმ პირებთან. თუ პირველნი ამბობენ, რომ ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე ღრმა გონებრივი შეზღუდვის მქონე პირებს შეუძლიათ ნებისმიერი გადანყვეტილების მიღება შესაფერისი მხარდაჭერის პირობებში, მეორენი ამბობენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია ღრმა გონებრივი შეზღუდვის მქონე პირებისთვის ისეთი მხარდაჭერის სისტემის შექმნა/უზრუნველყოფა, რომ მათ ყველანაირ საკითხზე შეძლონ დამოუკიდებელი და გაცნობიერებული გადანყვეტილების მიღება. მე ამ მეორე ჯგუფის მოსაზრებას ვეთანხმები და უფრო რეალისტურად მიმაჩნია. ზოგადად კი, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა დანარჩენ ადგილას, პოლონეთშიც ყველაფერი არაა იდეალური შშმ პირთათვის, (მაგ. ყველა შენობა არაა ადაპტირებული, უსინათლოები სპეციალურ სკოლაში უფრო დაბალი დონის განათლებას იღებენ, ვიდრე— სხვა სკოლების მოსწავლეები, რის გამოც უჭირთ საუნივერსიტეტო მოთხოვნებისადმი მისადაგება და ა.შ) მაგრამ საქართველოს კი ძალიან უსწრებს წინ.

მეცხველუბის განვითარება და დარღვევის ურუხვი

მაია ასაკაშვილი

გაგრძელება, დასაწყისი N10



- ნახალისეთ აზრის გადმოცემა, საკლასო თემის მოყოლა სიუჟეტური სურათის დახმარებით.
- მოსწავლესთან ერთად დაათვალიერეთ და აღწერეთ მარტივი დეტალებით არაგადატვირთული სიუჟეტური სურათები. მოკლე, ნათელი წინადადებებით გადმოეცით სიუჟეტი. სურათის აღწერისას, თავდაპირველად ყურადღება გაამახვილეთ არსებით სახელებსა და მოქმედებებზე.
- ვინ ხატია და რას აკეთებს. (მოგვიანებით გაამახვილეთ ყურადღება დეტალებზე. მაგ. როგორია ბიჭი, რომელი მანქანა უფრო დიდია, რამდენი ვაშლი ხატია და ა.შ.) სასურველია ნახატის

არა მხოლოდ აღწერა, არამედ გახმოვანებაც. მაგ. აქ ძალღი დგას, ის ყეფს, აუ-აუ-აუ;

• შემდეგი ეტაპია ბავშვი თავად ჩართოთ სურათის აღწერის პროცესში, თუმცა საწყის ეტაპზე მისი ჩართულობა შესაძლებელია არა ვერბალურად იყოს გამოხატული, არამედ დასაშვებია ის ჟესტებით მიგითითებდეთ.

• ნახალისეთ მოსწავლე, უპასუხოს თქვენს მიერ დასმულ შეკითხვებს - ვინ არის გამოსახული, რას აკეთებს, როგორია. კითხვები იმგვარად დაუსვით, რომ ბავშვის ერთ სიტყვიანი პასუხი მოეთხოვებოდეს. მაგ. ვინ დგას აქ? შემდეგ ეტაპზე კითხვა დასვით იმგვარად, რომ საპასუხოდ მოსწავლეს არსებითი სახელების, მოქმედების და ზედსართავების დასახელება უწევდეს;

• მოგვიანებით, ნახალისეთ ბავშვი დამოუკიდებლად აღწეროს იგივე სურათი, თქვენ უხმოდ მიუთითებთ გამოსახულებებზე შესაბამის ადგილას თითის დადებით, იმისათვის რომ მისი აღწერა თანმიმდევრული იყოს;

თუ მოსწავლე პასუხს ვერ სცემს დასმულ შეკითხვას, თავად გაეცით კითხვას პასუხი, მაგრამ თუ მან არ გაიმეორა თქვენი ნათქვამი, თავი აარიდეთ დაჟინებულ მოთხოვნას, გაიმეოროს პასუხი.

იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეს უჭირს შესაბამისი სიტყვით კითხვაზე პასუხის გაცემა, დასაშვებია კითხვის უფრო გამარტივება, შეცვლა და იმგვარად ფორმულირება, რომ „კი,“ ან „არა,“ პასუხს მოითხოვდეს: მაგ.

აქ ბიჭი ხატია?

საწყის ეტაპზე, შესაძლებელია მოსწავლეს თავის დაქნევა ან გაქნევა სწორ პასუხად ჩაეთვალოს.

• ნახალისეთ აზრის გადმოცემა, საკლასო თემის მოყოლა სერიული სიუჟეტური სურათის დახმარებით.

o გამოიყენეთ ბარათიანი სერიული სიუჟეტური სურათი. ცალკეული სურათი დაეხმარება მოსწავლეს, განსაზღვროს რომელი იყო თავდაპირველი მოქმედება, შემდეგ რა მოხდა და ბოლოს რით დასრულდა ამბავი. პირველად სიუჟეტი აღწერეთ თქვენ და უჩვენეთ ჯერ რა მოხდა, მერე რა მოხდა და ა.შ.

o ნახალისეთ მოსწავლე, გაიმეორეს სიუჟეტი. (გაითვალისწინეთ სურათის აღწერის ზემოთ მოყვანილი პრინციპები და რეკომენდაციები);

• ნახალისეთ აზრისა და ტექსტის გადმოცემა სიუჟეტური სურათის გარეშე. დაავალეთ მოსწავლეს ყურადღებით მოისმინოს ტექსტი და ზემოთ მოყვანილი სტრატეგიებით სცადოს აზრის გადმოცემა.

• მასწავლებელს ამ შემთხვევაში ევალება შეკითხვების სწორად ფორმულირება (გამომდინარე დასახული მიზნიდან და მოსწავლის შესაძლებლობებიდან). როგორც ითქვა, შეკითხვები შესაძლებელია, იყოს დახურული (მოითხოვდეს „კი,“ და/ან „არა,“ პასუხს); საპასუხოდ მოითხოვდეს ერთ სიტყვიან პასუხს არსებითი სახელის, ან მოქმედების დასახელებით; ორ სიტყვიან პასუხს ზედსართავების გამოყენებით; სრულ პასუხს.



ყოველი ახალი სიტყვის მნიშვნელობა და შეეცადეთ, ბევრჯერ გამოიყენოთ იგი დღის განმავლობაში სხვადასხვა კონტექსტში.

- წაახალისეთ მოსწავლე ლოგიკურ - გრამატიკული სტრუქტურების სწორად გამოყენებაში.

ლოგიკურ-გრამატიკული კონსტრუქციების სწორად გამოყენების მიზნით, ავარჯიშეთ მოსწავლე სივრცით მიმართებებზე. მაგ. ბავშვებმა უნდა ჩამოთვალონ ყველაფერი რაც ზემოთ არის: ცა, მზე, ვარსკვლავები, ჭერი, თავი და ა.შ.; გამოიყვანეთ ხუთი ბავშვი დაფასთან და სიმაღლის მიხედვით დააყენეთ რიგში. დანარჩენებმა უნდა გიპასუხოთ, ვინ არის პირველი, ვინ არის შუაში, ბოლოში, ვინ არის გიგის და მარიკას შორის და ა.შ.;

გაავარჯიშეთ მოსწავლე სივრცითი მიმართებების წვდომაში სიუჟეტური სურათების გამოყენებითაც: მიაწოდეთ მოსწავლეს ბარათი და სთხოვეთ, გაჩვენოთ, ის, ვინც ზის სახლის წინ, მოჩანს მაგიდის ქვეშ და ა.შ. მას შემდეგ, რაც მოსწავლე უშეცდომოდ მოახდენს მითითებებს, კითხვა იმგვარად დაუსვით, რომ პასუხი ლოგიკურ -გრამატიკული კონსტრუქციის გამოყენებას მოითხოვდეს: მაგ. სად ზის ძაღლი? მან უნდა უპასუხოთ - მაგიდის ქვეშ.

- წაახალისეთ მოსწავლე ახალი ცნებების ათვისებასა და კატეგორიების დასწავლაში.

• ახალი კატეგორიების ასათვისებლად გამოიყენეთ შესაბამისი კატეგორიის საგნების გამოსახულებები. მაგ. ქალაქში დახატული (დანებებული) ცხოველების და ფრინველების ნახატები. სთხოვეთ ბავშვს ხაზებით შეაერთოს ქალაქში მიმოფანტული ერთი კატეგორიის საგნები. მაგ. წითელი ფანქარი მიაწოდეთ და სთხოვეთ, შეაერთოს ცხოველები, შავი ფანქრით კი დაავალეთ ტანსაცმლის შეერთება. სავარჯიშოს შესრულების პარალელურად

• გაახმოვანეთ მოცემული კატეგორია: „ძაღვი ცხოველია, ძროხაც ცხოველია, ამიტომაც ჩვენ ისინი შევაერთეთ“, ეს მას მოგვიანებით კატეგორიების დასახელებაში დაეხმარება.

• მას შემდეგ, რაც ბავშვი ერთი კატეგორიის საგნების დაჯგუფებას უშეცდომოდ მოახერხებს, წაახალისეთ კატეგორიის დასახელება. ჰკითხეთ ბავშვს, რა ჰქვია ყველა ამ საგანს?

• ახალი ცნების წვდომის მიზნით, ათამაშეთ კლასი „მიხვედრობანა„. აღუწერეთ რაიმე ნივთი და სთხოვეთ ბავშვებს, გამოიცნონ, თუ რა ნივთი ჩაიფიქრეთ თქვენ. მაგ. დაახასიათეთ და აღწერეთ ტელეფონი - აქვს ლილაკები, შეგვიძლია დავრეკოთ და სხვას ვესაუბროთ. შემდეგ ბავშვებსაც სთხოვეთ, გააკეთონ იგივე. მსგავსი სავარჯიშო ძალიან სასარგებლო იქნება, როგორც მეტყველების დარღვევების მქონე ბავშვისთვის, ასევე მთელი კლასისთვის.

- ცნების წვდომის მიზნით, განიხილეთ საგნები მსგავსი და განსხვავებული ნიშნის მიხედვით.

• დაახასიათეთ რითი ჰგავს და რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან მაგ. ბურთი-ბორბალი, ვაშლი-მსხალი და ა.შ.

• მეტყველებისა და თხრობის უნარების გავარჯიშების შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგი მოსწავლესთან იგივე საგაკვეთილო თემას ამუშავებდეს, რასაც დანარჩენ მოსწავლეებთან. თუმცა, დასაშვებია, მოსწავლის უნარების, მისი სიტყვათა მარაგის და/ან მეტყველების სხვა თავისებურების გათვალისწინებით, საგაკვეთილო თემის მოდიფიკაცია-გამარტივება, უცხო სიტყვების ნაცნობი სიტყვებით ჩანაცვლება, რთული წინადადებების შემოკლება, ტექსტის მეორეხარისხოვანი დეტალების გამოტოვება და ა.შ.

მეტყველების უნარი და შესაძლო პრობლემები ადრეულ ასაკში

ბავშვის მეტყველების უნარის განვითარების ყველაზე კარგი შემფასებელი მშობელია. როგორც წესი,

• მასწავლებელმა ასევე უნდა მოახერხოს მოსწავლის წახალისება, რათა ერთი აზრობრივი ერთეულიდან შემდეგვე გადავიდეს.

წაახალისეთ მოსწავლის არსებული სიტყვათა მარაგის გამდიდრება.

• მოსწავლის არსებული სიტყვათა მარაგის გამდიდრების მიზნით, შესაძლებელია არსებული სიუჟეტური სურათების გამოყენება და მოსწავლისთვის უცნობი სიტყვის გამოსახულებებზე ყურადღების გამახვილება. სიტყვებს, რომლებიც ბავშვმა არ იცის, ჩვენ ვუჩვენებთ და ვეუბნებით.

• ყოველდღიურად იმუშავეთ ბავშვის ლექსიკონის გამდიდრებაზე. აუხსენით



2 წლის ბავშვების უმრავლესობის ლექსიკონის მარაგი დაახლოებით 50 სიტყვით შემოიფარგლება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ასაკში ბავშვები განსხვავდებიან ერთმანეთისგან სიტყვების მარაგითა და მათი სწორად წარმოთქმის უნარით.

ცხოვრების მეორე წელი საკმაოდ საოცარი პერიოდია ბავშვის მეტყველების განვითარებისთვის. ამ დროს ბავშვი გადადის მარტივი სიტყვების წარმოთქმიდან კითხვების შედგენაზე, ასევე შესაძლებელია, ბავშვმა მოახერხოს მის მიერ შეთხზული ამბების მოყოლაც.

რას უნდა მიაქციოს ყურადღება მშობელმა?

სიტყვების არასწორად წარმოთქმა- ბევრი ბავშვი ენას იჩლექს ზოგიერთი ბგერის წარმოთქმისას, ზოგიერთი ლ-ს იყენებს რ-ს ნაცვლად. ბავშვებს უჭირთ სიტყვის წარმოთქმა, როცა ბევრი თანხმოვანია. ხშირად გრძელ სიტყვებში მარცვლებს ერთმანეთში ურევენ. ყველა ეს შეცდომა მისაღებია 7 წლამდე, ყურადღებამისაქცევია, რამდენად იცვლება ბავშვის საუბარი უკეთესობისკენ. 3 წლის ასაკში უკვე გასაგები უნდა იყოს ბავშვის საუბრის დიდი ნაწილი. საყურადღებოა შეცდომა, რაც შესაძლოა, გარკვეულ პრობლემასთან იყოს დაკავშირებული. ბავშვს შეიძლება არ ესმოდეს ყველა ბგერა სიტყვაში. ამის მიზეზი შესაძლებელია იყოს ყურის ანთებით გამოწვეული სმენის დროებითი მსუბუქი დაქვეითება. ენის მოჩლეკა, წინადადებების აწყობა, ენის ბორძიკით ლაპარაკი, აპრაქსია ეს არის ნერვული სისტემის დაზიანების შედეგად გამოწვეული მეტყველების პრობლემა, რომელიც ხელს უშლის ბავშვს ბგერების, მარცვლებისა და სიტყვების სწორად წარმოთქმაში. აპრაქსიის შემთხვევაში ბავშვს სჭირდება ინტენსიური თერაპია.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენ? ბავშვს წაუფუკითხოთ ბევრი წიგნები, რაც მეტყველების გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა.

წიგნი ბავშვს ეხმარება, დაამატონ სიტყვები მათ ლექსიკონს, აზრები დააკავშირონ ნახატთან. ბავშვს ესაუბრეთ სწორად, ხაზი გაუსვით იმ სიტყვებსა და ბგერებს, რომელთა წარმოთქმაც მას უჭირს. არ არის საჭირო მკაცრი შესწორებების გაკეთება, უბრალოდ, გაიმეორეთ სწორად მაშინვე.

ენის ბორძიკის დროს მნიშვნელოვანია, ხმა იყოს რბილი და დაძაბულობას მოკლებული, მშვიდი. ნუ ეტყვი ბავშვს, შეანელოს საუბარი-უბრალოდ, თქვენ თვითონ ილაპარაკეთ ნელა და ის შეეცდება მოგბაძოთ, უყურეთ თვალებში და გაუღიმეთ. აპრაქსიის დროს ბავშვს სჭირდება ინტენსიური მეტყველების თერაპია. თუ 2 წლის ასაკში ბავშვი ვერ მეტყველებს, არ აქვს რეაქცია, როცა ეძახით, არ აინტერესებს საუბარი, უნდა მიმართოდ ექიმს.

მოსწავლე და მასწავლებელი

გიორგი ჯანელიძე

15-21 ოქტომბერს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ჩატარდა მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპი პარაფარეიკობაში, სადაც წარმატებით იასპარეზა და ოქროს მედალი მოიპოვა ქართველმა პარამოფარიკავე ირმა ხეცურიანმა.

მსოფლიო თასზე მონაწილეობას მსოფლიოს 26 ქვეყნის გუნდი იღებდა. სახეობა ხმალში "ბ" კატეგორიაში ასპარეზობდა შვიდი ქვეყნის წარმომადგენელი. შესარჩევ ტურში ირმა ხეცურიანმა 6 მეტოქე დაამარცხა - საფრანგეთიდან, საბერძნეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან და ბელორუსიიდან და გავიდა ნახევარფინალში, სადაც პოლონეთის კიდევ ერთ წარმომადგენელს სძლია. ფინალურ დაპირისპირებაში ხეცურიანი ასევე პოლონელ პატრიცია ჰარეზას დაუპირისპირდა და მეტოქე 15:9 დაამარცხა. 2015 წელს ირმა ხეცურიანმა მსოფლიო ჩემპიონატზე პარაოლიმპიელ მოფარიკავეთა შორის მე-2 ადგილი დაიკავა. სეზონის დასრულებამდე ქართველი პარამოფარიკავე მსოფლიო თასის კიდევ ერთ ეტაპზე გამოსვლას გეგმავს.

ირმას მწთვნელი ახალგაზრდა წარმატებული მოფარიკავე, არჩილ უგულავაა. ის სპორტის ამ სახეობას 2005 წლიდან მიჰყვება. გავლილი აქვს ყველა ასაკობრივი ნაკრები და საფეხური, დღეისთვის კი ირიცხება რაპირით მოფარიკავე ვაჟებს შორის საქართველოს ძირითად ნაკრებში. აჩიკო საქართველოს



მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელია, რამდენიმე წლის წინ ბულგარეთში მოიგო ევროპის თასის ბ კატეგორიაში. ასპარეზობს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე და როგორც ამბობს, ამ მცირე პერიოდში შეიძლება მედალთან ახლოს მისვლა. არჩილი ამჟამად თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტში სამწრთველო ფაკულტეტზე სწავლობს. პარალელურად, ცნობილმა მოფარიკავემ და ახლადაშენებული პარალიმპიური სპორტული ცენტრის მმართველმა, ბატონმა მალხაზ მესხმა, დადებითად შეაფასა რა ახალგაზრდა სპორტსმენის მონაცემები, პარალიმპიელ მოფარიკავეთა მწრთველად მიიწვია: „დილომში პარასპორტში არის რამდენიმე სახეობა. მათ შორისაა: ფარიკაობა, მაგიდის ჩოგბურთი, მშვილდოსნობა და ფეხბურთი, ხოლო ცალკეა მხედველობა დაქვეითებულთა ფეხბურთი. და ბატონმა მალხაზმა შემომთავაზა სამსახური, სადაც უკვე 1 წელია ვმუშაობ, მე იქ ჩამაბარეს 6 ადამიანი, რომელთაც ძალიან კარგად შევენწყვე და ერთი ოჯახი ვართ. აქ პარასპორტსმენთა რამდენიმე კატეგორიაა. ბ კატეგორია ნიშნავს, რომ სპორტსმენი ეტლში ზის და წელი არ აქვს, ა კატეგორიაა ისეთი, რომელსაც ტრავმა აქვს, მაგალითად-ფეხი არ აქვს ან ხელი და წელი აქვს, ხოლო ც კატეგორია ყველაზე რთულია, როდესაც წელი აქვს და მოძრაობა უჭირს. მე ჩამაბარეს ეს კატეგორიები და ფარიკაობის სამი სახეობიდან, როგორებიცაა რაპირა, დაშნა და ხმალი, რაპირას და ხმალს ვასწავლი. მე ვითვლები რაპირის სპეციალისტად, ვემზადებით მსოფლიო

თასისთვის. გვყავს ხმალშიც და რაპირაშიც ძალიან შედეგიანი ირმა ხეცურიანი. ვიბრძვით იმისთვის, რომ მან რაპირაში რიოს 2016 წლის ლიცენზია აიღოს, რისი შანსიც საკმაოდ რეალურია. როგორც ახალგაზრდა მწრთველი გვიხსნის, სავალდებულოა, რომ ერთმა ადამიანმა 2 სახეობაში იფარიკავოს. მისი გუნდი ფარიკაობს როგორც ხმალში, ასევე ხმალშიც და რაპირაშიც. არჩილი თვლის, რომ რაპირა, ბ კატეგორიაში, ანუ ირმას კატეგორიაში ცოტა რთულია, მაგრამ ხმალში მან მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი აიღო, ხოლო წელს, როგორც მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი, პარიზში გამართულ მსოფლიო თასზე-ოქროს მედალი: „ირმამ რაპირაში რვიანში შესასვლელი წააგო, თუმცა ეს მისთვის მაინც კარგი შედეგია (მე-9 იყო რეიტინგით და ¼ ფინალში ველარ გადავიდა, წააგო 13:15), მაგრამ შემდეგ შეჯიბრზე არაბეთში, დუბაიში ვეცდებით რომ მოიგოს და იმდენი ქულა დააგროვოს, რომ საუკეთესო რვა სპორტსმენთა შორის მოხვდეს და ლიცენზია აიღოს. პარალიმპიელებს სჭირდებათ სხვანაირი მიდგომა და ფსიქოლოგიური დახმარება, შესაბამისად, ვარჯიშის დროს მწრთველების გარდა, იქ ფსიქოლოგებიც არიან. გვყავს ექიმები, რომლებიც ვარჯიშისთვის მათ ამზადებენ და სპეციალურ პროცედურებს უტარებენ. ისინი, შესაბამისად ოპტიმალურ ფორმაში არიან. ხმალში მწრთველი არის თავად მალხაზ მესხი, მერაბ ბაზაძე, რაპირაში ვამზადებ მე“.

არჩილ უგულავა სწავლასა და სამსახურს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ფარიკაობის ფედერაციის დიდი მხარდაჭერით უთავსებს ერთმანეთს. სამუშაო ადგილიც მათივე რეკომენდაციითა და დახმარებით მიიღო. სამომავლოდ, არჩილ მწრთველობას გეგმავს, თუმცა





არც იმას გამორიცხავს, რომ თავისი მომავალი სპეციალობით, მენეჯმენტშიც სცადოს ბედი ან დოქტორანტურა დაამთავროს და კათედრაზე დარჩეს. როგორც საუბრისას აღნიშნა, შესაძლოა უცხოეთშიც კი წავიდეს მწრთველად სამუშაოდ, თუკი ამის ინტერესი მეორე მხაერსაც ექნება: „პარასპორტის სახეობებიდან ამ დროისთვის საუკეთესოა ფარიკაობა. 2 წელი ცოტაა იმისთვის, რომ საერთაშორისო ასპარეზზე დიდ წარმატებას მიაღწიო. მაგრამ ჯერ-ჯერობით ირმა ხეცურიანი საუკეთესოა. გვყავს სხვა ნიჭიერი სპორტსმენებიც: რომან აბაშიძე, თემურ დადიანი, ნიკოლოზ ხატიაშვილი, რომლებიც ყოველდღიურად ვარჯიშობენ და წარმატებაც გარდაუვალი იქნება“, ვარაუდობს ახალგაზრდა ნიჭიერი მწრთველი და სავარჯიშო დარბაზს უბრუნდება.

რედაქციისაგან

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ირმა ხეცურიანი ეტლით ფარიკაობის მსოფლიო რეიტინგში პირველ ადგილზეა. ბუდა-

პეტის მსოფლიო ჩემპიონატის II ადგილის და მსოფლიო თასის I ადგილის დაკავების შემდეგ, ირმა ხეცურიანი, ეტლით ფარიკაობაში მსოფლიო რეიტინგში დაწინაურდა და ამ დროისათვის რეიტინგში პირველ ადგილზეა.

ირმა ხეცურიანი ქალაქ თბილისის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ა(ა)იპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის სპორტსმენია, რომელიც მსოფლიო თასზე მერიის დაფინანსებით გაემგზავრა.

ვულოცავთ მის მწვრთნელს და ჩვენს სახელოვან სპორტსმენს ამ წარმატებას და ვუსურვებთ მრავალ გამარჯვებებს.

ცხოვრების არსზე

პეტრე მამონოვი



ცხოვრების გზაზე შემხვედრი ყველა ადამიანი ის ანგელოზია, რომელიც შემნედ გამოგიგზავნა განგებამ.

მას ან უყვარხარ, ან- გცდის.

ახალგაზრდობაში ასეთი რამ გადამხდა თავს: მეგობართან გვიანობამდე ვსვამდი.მერე დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

ღილით მოვიკითხე. მაინტერესებდა, როგორ მივიდა შინ. მიპასუხეს: „ელექტრიჩკამ“ გაიტანა და ფეხების ამპუტაცია დასჭირდაო.

საშინელებაა, ხომ?

საავადმყოფოში მივაკითხე. დამინახა თუ არა, ეს მითხრა: აი, შენთან ყველაფერი რიგზეა, მე კი...

საბანი რომ გადაიხადა, გავშრი.

საერთოდ, ამაყი ადამიანი იყო.

ამ ამბავმა შეცვალა, უფრო მოკრძალებული და მხიარული გახადა.

ცოლს, ოთხი შვილის დედას, საბავშვო მწერალს, მიუხედავად ამ უბედურებისა, ძალიან უკვირდა და უხაროდა ქმრის ხასიათის ასე გამოცვლა.

აი, როგორ განკურნავს უფალი ჩვენს სულს ფიზიკური

ტკივილებით.

ეს რომ არ შემთხვეოდა ჩემს მეგობარს, სიამაყე ძველი პურის ყუასავით გამოფიტავდა.

რთული და ძნელადასატანი, მაგრამ მოკლე გზა ერგება ზოგს სულის განწმენდისთვის.

ყოველი ნუთი ფიქრისთვის, სწავლებისთვისაა – რა როგორ ვთქვათ.

ცხოვრებისეული შემოტევები წამალივითაა – გვკურნავს.

ვისჯვებით მხოლოდ იმისათვის, რომ სული გადავირჩინოთ.

ღმერთი მზრუნველი მამაა და ასე გვწვრთნის. პატარა ბავშვივით კუთხეში გვაყენებს, რომ მეორედ არ გავიმეოროთ დანაშაული.

პატარებს არ უყვართ, როცა მშობელი ხელჩაკიდებულს ატარებს. მამა კი, სანამ სამშვიდობოს არ დაიგულვებს, ხელს არ უშვებს შვილს.

ღმერთიც ასეა.

მისგან მოვლენილი განსაცდელები (რომლის მიზეზიც ჩვენშივეა) – ერთგვარი გამოცდაა.

გამოცდა კი იმისთვისაა გამოგონილი, რომ ჩააბარო, რომ გაიზარდო.

სწორედ მათი მეშვეობით იწმინდება ჩვენი სული.

ოქროც ხომ ცეცხლში იწრთობა?!

ყველა ტკივილი დრტივნის გარეშე უნდა ავიტანოთ.

კითხვა „რატომ?“ (დრტივნის თვალსაზრისით) – აბსოლუტურად ზედმეტია.

რასაც გავდივართ, ეს ჩვენი გზაა.

ცხოვრების აზრი კი სიყვარულშია.

დიდხანს გვერდს ვუვლიდი, გავურბოდი კითხვას – რისთვის ვცოცხლობთ?

ვსვამდი, ვენეოდი, არც ნარკოტიკებზე ვამბობდი უარს, ვჩხუბობდი, პირველობას ვჩემობდი.

მერე მივხვდი, რომ ცხოვრების ჭეშმარიტება-სიყვარულშია.

გიყვარდეს – ნიშნავს მსხვერპლი გაიღო, შეეწირო.

თითქოს უმარტივესია და მაინც არაა საკმარისი მხოლოდ ტაძარში იარო, სანთლები დაანთო და ილოცო.

2002 წელს, ჩეჩნეთში, რვა ჯარისკაცს შორის ერთ-ერთმა, დაუფიქრებლად ხელყუმბარა დააზიანა. ყველას სიკვდილი ემუქრებოდა. 55 წლის პოდპოლკოვნიკმა, რომელსაც ეკლესიაში არასდროს ულოცია, არცერთი ღერი სანთელი არ დაუნთია და კომუნისტი იყო, თავი გასწირა იქ მყოფთათვის- ხელყუმბარას გადაეფარა და ნაფლეთებდა იქცა. თვითონ მოკვდა, მაგრამ სხვები გადაარჩინა.

იმაზე დიდი, რომ საკუთარი სიცოცხლე გაიღო მოყვასისთვის, არაფერია.

რატომღაც გვგონია, რომ კეთილი საქმე ხვალაც გაკეთდება, ზეგაც...

მაგრამ თუკი ამაღამ მოგაკითხავს სიკვდილი?!

როგორ შეასრულებ ხუთშაბათისთვის დაგეგმილ საქმეებს, თუკი ოთხშაბათს გარდაიცვლები?

თითქოს გუშინ იყო, ოღეგ იანკოვსკი რომ მეჯდა გვერდით და ვსაუბრობდით. დღეს აქაა მისი ქურთუკი, სხვა ნივთები. ის კი აღარაა.

ჩვენ ფილმ „მეფის“ გადაღებისას დავმეგობრდით. ბევრს ვსაუბრობდით ცხოვრების არსზე. მე ახლაც ვესაუბრები მას. ვლოცულობ: ღმერთო, შეინყალე და იხსენი მისი სული!

მხოლოდ ლოცვა აღწევს იმ სამყაროში. ამიტომ, როცა აღვესრულები, არაფერში გამომადგება

ძვირადღირებული მუხის სასახლე და ყვავილები.

ერთს გთხოვთ მხოლოდ: ილოცოთ ჩემთვის. მხოლოდ ლოცვა შემეწევა, რადგან მე ყველანაირი ცხოვრებით ვიცხოვრე...

ლოცვა ცოცხლებსაც სჭირდება. უფლისადმი მაღლიერებით წარმოთქმული ყოველი სიტყვა-ლოცვაა.

როცა სათვალეს ვერ ვპოულობ, ღმერთს ვთხოვ: „დამეხმარე, უფალო!“ და ასეც ხდება.

ზეციურ მამას ყველა ვუყვარვართ. ყოველთვის შეგვიძლია, მას თხოვნით მივმართოთ.

ნუ გგონიათ, რომ ის ღრუბლებზე შემომჯდარი ბრაზიანი და ბოროტი ძიაა, რომელიც ჩვენს ქცევებს აღწუხსავს.

ღმერთს დედაზე მეტადაც ვუყვარვართ და თუკი მწუხარებას გვიგზავნის, ეს, ალბათ, ჩვენვე გვჭირდება.

ყველაზე მძიმე წუთების გახსენება ერთგვარი ადრენალინია! ერთგვარი „კაიფი“!

სიყვარული – დაბინძურებული ჭურჭლის საკუთარი ნებით დაუზარებელი რეცხვაა. ამასთან ერთად აუცილებელია, კარგის შემჩნევა და აღიარება შეგეძლოს.

ეს ერთადერთი შედეგია იმ გზაზე.

შეიძლება ვინმემ ბევრი რამ შექმნას არა ამ გზის გავლით, მაგრამ მის ქმედებაში რაღაც კარგი მაინც იქნება. ჩვენც სწორედ იმ სიკარგეს უნდა ჩავეჭიდოთ, ცუდსა და უვარგისზე არ უნდა გადავიტანოთ მთელი ყურადღება.

სიყვარული გრძნობა კი არა – ქმედებაა.

ნუ გაცხარდებით იმ მოხუცზე, ვისაც იძულებული ხართ, მეტროში ადგილი დაუთმოთ. ეს საქციელიც სიყვარულის გამოვლინებაა.

საკუთარი თავი იხსენი და ესეც საკმარისია. გახსოვდეს, სანამ ანანასს არ დააგემოვნებ, ნუ ისაუბრებ მასზე. ნურც ქრისტიანობას შეეხები, თუკი არ იცი, რასთან გაქვს საქმე.

დაურეკე, შეურიგდი შენს ლუდას, ვისაც უკვე ხუთი წელია დაშორდი და დააჯერე, რომ არასწორი იყავით შენც და ისიც... მერე კინოში წასვლა შესთავაზე.

სიკეთე ასწილად დაგიბრუნდება, მაგრამ არა ნივთიერი სახით, არამედ სულიერი მდგომარეობის გათვალისწინებით.

სწორედ ესაა დაუსრულებელი ბედნიერება!

მაგრამ ამის მისაღწევად ფიქრია საჭირო. ყოველ წუთს გააზრება იმისა, სად რა ვთქვათ, როგორ მოვიქცეთ.

თუკი გარშემო მიმოიხედავ, ბევრ კარგ ადამიანს დანახავ, სუფთა მზერით, კეთილი, მხიარული გამომეტყველებით.

თუკი სილამაზის წილ მხოლოდ სიმახინჯე შეამჩნიე, გამოდის, რომ ეს სიმახინჯე შენშია.

მსგავსი მსგავსს ეძებს. სხვას ნუ განიკითხავ, საკუთარი თავით დაინყე. უპირველესად ეს გევალება.

დააბრუნე შენში ღმერთი.

ეცადე მხოლოდ გარეგნულზე არ იზრუნო. ღრმად წვდომა აიძულე საკუთარ თავს. როცა შენი თავის სიყვარულს ისწავლი, ეს გრძნობა მოყვასის სიყვარულად გარდაქმენი. რატომღაც ყველაფერი უკუღმა გამოგვდის- იმის ნაცვლად რომ კეთილები ვიყოთ, სიხარბეს ვერ ვვლევით. 10 000 დოლარი რომ მისცე ვინმეს და მერე იხანო, ნეტა 5 000 მიმეცაო, ჩათვალე, რომ სიკეთე არ გაგიკეთებია.

აი, ამ ერთმა დღემაც ჩაიარა. რამე სარგებელი მოუტანა ამან ჩემს მოყვასს? ყოველი ღამე ამაზე ფიქრით უნდა იწყებოდეს. მე ცნობილი მსახიობი ვარ, ვმღერი კიდეც, ლექსებსაც ვწერ, როკ-ენ-როლსაც ვცეკვავ. შემიძლია ქედი მოგახრევინოთ ჩემს წინაშე, მაგრამ რაში გამომადგება ეს? რა ხეირს ვნახავ აქედან? მხოლოდ ეშმაკის სახელი- „მწვალბელები“ იქნება ჩემთვის ზედგამოჭრილი.

შინაგანი მაცდური ხმა ჩამძახის: მართალი ხარ, მოხუცო, მიდი, ყველას შენებურად დაუარე! მე კი ვცდილობ, ასე არ მოვიქცე. ჩემს სულიერ საქმეებს ვენიერები ყოველდღე. არ მსურს რაიმეთი ვიამაყო: არც ფილმ „კუნძულის“ როლით, არც საკუთარი ლექსებითა და სიმღერებით. ამ ყველაფერს სხვისი თვალით ვუყურებ და ვაფასებ. ჩემთვის ყოველი დღე საოცრებაა. ყოველი დღე განსხვავებულია. ბედნიერებაა, ამის შემჩნევა რომ შემიძლია.

მენანება, იმდენი რამ გამოვტოვე... ხშირად ვტირი ამის გამო, შინაგანად, რა თქმა უნდა. შეიძლებოდა ყველაფერი ბევრად უკეთ, უფრო სუფთად ყოფილიყო. ერთმა ადამიანმა მითხრა: ასეთი სიმღერები სასმელის ზეგავლენით დაწერეო. მე კი მგონია, რომ განსაცდელებმა დამაწერიეს. 60 წლის გადასახედიდან ვამბობ: არცერთი წუთი არაა დასაკარგი ცხოვრებაში. ისედაც მცირე დროითა ვართ წუთისოფელში.

დაკარგულ დროს კი, ვინ იცის, რამდენი ღამაში წუთი გადაყვა. როცა უგუნებოდ ვიღვიძებ, პორტვინს კი არ ვსვამ, ვამბობ: ღმერთო, ცუდად ვგრძნობ თავს. მიემედები. შენი წყალობის გარეშე არაფერი გამომივა“. აი, ასე ქმედებაა მთავარი და აუცილებელი... როკ-მუსიკოსი და მსახიობი პეტრე მამონოვი თარგმნა: ხათუნა როგავამ

<http://kenozisi.ge/geo/rok-musikosi-da-msaxiobi-petre/>

„არ ვიცი, რომ ღვდიოდი, მაშინ უფრო საინტერესო იყო ჩემი ცხოვრება თუ ახლა“ - გოგონა, რომლის წერილმაც ინტერნეტში იწვინა



„ძალიან მეშინია თქვენი, ვერ წარმოიდგენთ, ისე ძალიან... არ მინდა დავინახო, როგორ ჩურჩულებთ ჩემზე, არ მინდა დავინახო ისეთი სახე რომელიც მეტყვის "შე სანყალო, გვეცოდები", გელოტოფობია მაქვს, არ მინდა დამცინოთ ხელში პასტას თუ ვერ დავიჭერ". „თქვენ წარმოიდგენაც კი არ გაქვთ, რამდენი ეტლით მოსარგებლე ადამიანია ჩვენს ქვეყანაში, ხალხი, რომელსაც სურს იცხოვროს ისე, როგორც თქვენ ცხოვრობთ და ამაში ხელს საზოგადოება უშლის.“ „ძალიან ბევრი ეტლიანი დგას ჩემს უკან, რომლებსაც მართლა უნდათ სწავლა, მაგრამ პირობების არქონის და ხალხისადმი შიშის გამო ისინი გამოკეტილები არიან სახლში და აკეთებენ არაფერს!!! და მერე ეწყებათ: დეპრესია, შიშები, პანიკა, ქვეყნიდან გაქცევის სურვილი, ღმერთის გმობა, სიკვდილის წყურვილი, თვითმკვლელობა და ა.შ. ჩემი ამ

ნაბიჯით მინდა მათ გავაგებინო, რომ ცხოვრება გრძელდება!“ ამ რამდენიმე დღის წინ, ნინი დარბაიძის ემოციურმა წერილმა, ქართული სოციალური ქსელი ააფეთქა, ნინი წერდა, რომ თანატოლების მსგავსად მას სტუდენტობა სულაც არ უხარია, რადგან საზოგადოებაში ეტლით გამოჩენის ეშინია... ნინიმ ამ წერილით არაერთი ჩვენი თანამოქალაქის პრობლემა წარმოაჩინა, ადამიანების, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების გამო საზოგადოების სრულფასოვან წევრებად



ვერ გრძნობენ თავს და ეს უპირველესად საზოგადოების პრობლემაა...

გთავაზობთ ნინის წერილის შემოკლებულ ვარიანტს:

„სამწუხაროდ, მე არ გამხარებია სტუდენტობა, გარშემომყოფებისგან განსხვავებით, რადგან ვიცოდი, რომ სექტემბრამდე ვერ შევძლებდი ფეხზე დადგომას და ეტლით მომიწევდა მოსვლა, ვერ გავხდებოდი ისევე ისეთი, როგორიც ადრე ვიყავი და როგორიც ახლა თქვენ ხართ. მაგრამ მე მაინც ვეცადე არ დავმსგავსებულყავი სხვა ეტლიანებს და ჩემი მიზნის მისაღწევად გამეკეთებინა ყველაფერი, ვალიარებ ძალიან მეშინია საზოგადოებაში ეტლით გამოჩენის (მხოლოდ 1 თვე ვემზადებოდი 5 საგანში და მაინც მოვახერხე სტუდენტი გავმხდარიყავი...).

„ზუსტად ვიცი, რომ გავივლი და გავხდები ისევე ისეთი, როგორიც ვიყავი“

თქვენ წარმოადგენაც კი არ გაქვთ, რამდენი ეტლით მოსარგებლე ადამიანია ჩვენს ქვეყანაში, ხალხი, რომელსაც სურს იცხოვროს ისე, როგორც თქვენ ცხოვრობთ და ამაში ხელს საზოგადოება უშლის. ჩემთვის ყველაზე დიდი დაბრკოლება ხალხია, აი, ის ბრბო, რომელიც გამუდმებით მიყურებს, აკვირდება ჩემს თითებს, რომლებსაც ვერ ვამოძრავებ, აშტერდება ფეხებს, რომელიც უმოქმედოდ დევს და თავის ფუნქციას ჯერჯერობით ვერ ასრულებს... ძალიან მეშინია თქვენი, ვერ წარმოიდგენთ, ისე ძალიან... არ მინდა დავინახო, როგორ ჩურჩულებთ ჩემზე, არ მინდა დავინახო ისეთი სახე, რომელიც მეტყვის „შე სანყალო, გვეცოდები“, გელოტოფობია მაქვს, არ მინდა დამცინოთ ხელში პასტას თუ ვერ დავიჭერ. ის, რომ ჩემთან შეიძლება არავინ იმეგობროს, ეს არ გამიკვირდება, გაგიგებთ, გეფიცებით გაგიგებთ, არ ვიფიქრებ, რომ ცუდები ხართ, ვიცი ალბათ არავის სჭირდება ეტლიანი მეგობარი...

ძალიან ბევრი ეტლიანი დგას ჩემს უკან, რომლებსაც მართლა უნდათ სწავლა, მაგრამ პირობების არქონის და ხალხისადმი შიშის გამო ისინი გამოკეტილები არიან სახლში და აკეთებენ არაფერს!!! და მერე ეწყებათ: დეპრესია, შიშები, პანიკა, ქვეყნიდან გაქცევის სურვილი, ღმერთის გმობა, სიკვდილის წყურვილი, თვითმკვლელობა და ა.შ. ჩემი ამ ნაბიჯით მინდა მათ გავაგებინო,

რომ ცხოვრება გრძელდება! მინდა, შემდეგ წელს ვთქვა, რომ „ამ უნივერსიტეტში სწავლობენ ნამდვილი ადამიანები“, გთხოვთ, მთელი გულით გთხოვთ, ამომიდექით მხარში, არ მიყუროთ დამცინავი მზერით თუ ყავის ჭიქას ვერ დავიჭერ კარგად ხელში და გადავისხამ, უბრალოდ მოდით და დამეხმარეთ. მეგობრებს ხელების და ფეხების მიხედვით ხომ არ ირჩევთ. ეს ხომ შეიძლება ყველას მოგვსლოდათ... აივნიდან, 25 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდი და, მადლობა ღმერთს, ცოცხალი ვარ, რა მაქვს საწუნუნო, ძალიან ილბლიანი ვარ, ზუსტად ვიცი, რომ გავივლი და გავხდები ისევე, როგორიც ვიყავი. მთელი გულით გთხოვთ, არ დამთრგუნოთ, არ მაგრძნობინოთ, რომ რამით განვსხვავდები თქვენგან, რომ ბევრ რაღაცაში შეზღუდული ვარ, რომ კიდურები არ მემორჩილება, გთხოვთ ამას ნუ მაგრძნობინებთ, ეს მე ისედაც ვიცი. მეც თქვენნაირი ადამიანი ვარ, უბრალოდ ჩემი ნერვები დროებით ვერ ასრულებენ თავის ფუნქციას... მალე აღდგება და მეც ვიხტუნავებ. ფაკულტეტი ფსიქოლოგიური ავირჩიე, რადგან მინდა ძლიერი ფსიქიკა მქონდეს, რომ ჩემმა მდგომარეობამ არ მაჯობოს და არ გამაგიჟოს...“

- ნინი, წერთ, რომ ჯამრთელობის პრობლემების მიუხედავად, მოახერხეთ და ერთთვისანი მომზადებით, გახდით სტუდენტი, ეს როგორ შეძელით, რა გაძლევთ ძალას ასე სწორად იცხოვროთ?

- ეტყობა სწორად არ ვცხოვრობდი, თორემ ხომ არ გადმოვარდებოდი! ვფიქრობ, განსაცდელი იმისთვის არის, რომ რაღაც შეცვალო შენს ცხოვრებაში, რაღაცაზე დაფიქრდე, რაღაც გაანალიზო, რაღაც ისწავლო. ძალიან ბედნიერი ვარ, ჩემს ცხოვრებაში ღმერთის ხელს ვხედავ.

- რატომ გაგიჩნდათ სურვილი დაგენერათ ასეთი წერილი? ხომ არ გსურთ ევროპაში იცხოვროთ, სადაც თქვენი ინტელექტით შესაძლოა გაცილებით ბევრს მიაღწიოთ...

- საზღვარგარეთ მხოლოდ სარეაბილიტაციით მინდა წასვლა, მაგრამ ეს „მინდა“ მხოლოდ „მინდად“ რჩება. სურვილი მაქვს, მაგრამ შესაძლებლობა - არა, რას ვიზამ, ყოველთვის ვერ ვიღებთ იმას, რაც გვინდა, ამასაც ბავშობიდან უნდა შევეჩვიოთ...

მეკითხებით, ხომ არ მინდა ევროპაში გადავიდე სამუდამოდ საცხოვრებლად, რატომ უნდა გადავიდე, იმიტომ, რომ ხალხის რაღაც ნაწილმა არ იცის რა არის შშმ პირი და უცნაურად გვიყურებს? ეს ცოტა შეურაცხმყოფელია ჩემთვის... ჩვენ ყველანი - შშმ პირები ვერ წავალთ ჩვენი ქვეყნიდან, იმის გამო, რომ აქ არ არის პირობები და აქ ხალხი სანყალი თვალებით გვიყურებს... მე იმათ გამოც მრცხვენია, სამშობლოდან პირობების არქონის გამო რომ მიდიან. რატომ წავიდე მე?! თქვენ შეეჩვიეთ იმას, რომ მეც ადამიანი ვარ, აი, მე კი ვერ შევეგუები ადამიანების მახინჯ დამოკიდებულებას! თუ ადამიანები გაიაზრებენ, რომ ეს ნებისმიერს

შეიძლება მოსვლოდა ან მოუვიდეს, ასე აღარასდროს მოიქცევინა... ჩვენ ჩვენი პრობლემებიც გვყოფნის, ნულარ დაგვიმატებთ თქვენს მიმიკურ დამცირებას... გთხოვთ, მთელი გულით გთხოვთ, იყავით ადამიანები, გქონდეთ გული ქვის მაგივრად! ღმერთი ყველაფერს ხედავს...

- როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე?

- არ მაქვს ჩვეულებრივი დღეები, ყოველდღე რაღაც ახალს ვსწავლობ, ყოველდღე ვუახლოვდები ჩემს მიზანს. არ ვიცი, რომ დავდიოდი, მაშინ უფრო საინტერესო იყო ჩემი ცხოვრება, თუ ახლა. ალბათ, ახლა უფრო საინტერესოა, ყველაფერს თავიდან ვინყებ და ეჭვი მაქვს, ეს ცხოვრება უკეთესობისკენ წავა...

სეზღიანი სიძლარა ბიტარასტან ერთად




გიორგი ჯანელიძე

ვალერი ღვინიაშვილი 8 წლის ასაკიდან თავისუფალი ჭიდაობით იყო გატაცებული და სპორტის ამ სახეობაში არა ერთი წარმატებისთვისაც ჰქონდა მიღწეული. 18 წლისამ საყვარელ სპორტს თავი დაანება, რაც იმდროინდელ მასობივ არეულობებს და ვარჯიშისთვის არასათანადო პირობებს უკავშირდება. გავიდა წლები და ერთმა უბედურმა შემთხვევამ მისი ცხოვრება შეცვალა. გასული საუკუნის 90-იანი წლებში ქვეყანაში გამეფებული განუკითხაობა, ბნელი და უკუნი ყველას გვახსოვს. ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა პოლიციელმა საკუთარი მანქანით ვალერის ავტომობილთან

შეჯახება ისე ძლიერად მოახდინა, რომ 20 წლის ბიჭმა მხედველობა ადგილზევე დაკარგა. მას შემდეგ იმ მძღოლმა ორი ადამიანი იმსხვერპლა, მაგრამ მისი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, არავის დაუსჯიაო, იხსენებს ვალერი. ამობრუნებულ მანქანაში ახალგაზრდა მძღოლს შანსი არ ჰქონდა: უბედურმა შემთხვევამ მას შუბლის ძვალი დაუმსხვრია და მხედველობისთვის საჭირო ნერვები დაუზიანა. აქამდე არაერთ უსინათლოს შევხვედრივარ, ვინც ასე თუ ისე შეგუებულია თავის ბედს და ცხოვრების ახალ, ურთულეს ეტაპს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ვალერი ღვინიაშვილზე. მასთან საუბრისას აშკარად ჩანს, რომ არსებულ რეალობასთან შეგუება, ოცი წლის შემდეგაც კი უჭირს: „ძალიან გამიჭირდა, ძალიან. ყველაფერი მქონდა: მანქანა, ოჯახი, ყველაფერი გიხარია ადამიანს, ყველაფერი მოგწონს და უცბად... თვალს ახელ და ვეღარაფერს ხედავ. დიდხანს ვერ ვხვდებოდი თუ რა ხდებოდა ჩემს ირგვლივ. მერე ნელ-ნელა შევეგეუე, სადაც მივდიოდი, ექიმები მეუბნებოდნენ, რომ თვალის ჩინის დაბრუნების არავითარი შანსი არ არსებობდა. იმედსაც კი არ მაძლავდნენ, ტყუილად მაინც“-ხმის თრთოლვით ამბობს ვალერი და სახელოსნოსკენ მიმიძღვება, სადაც ის ხატების, სურათებისა და სარკეების აწყობა-რესტავრაციითაა დაკავებული. უცხოების შეკვეთებს არ ვიღებ, ალბათ ფიქრობენ, რომ უსინათლო რესტავრაციის გამკეთებელი არ არის და ისედაც ძლივს შეძენილი ავეჯი არ გაუფუფუჭო, ხუმრობს ვალერი, მაგრამ ამ ხუმრობაში დიდი სევდა დევს-სევდა წარმოუდგენლად აქტიური და სიცოცხლით სავსე ადამიანისა, რომელიც არსებული რეალობის მიუხედავად, სწორედ ამ რეალობას ებრძვის: „ამ ყველაფრით ვერთობი. თან დრო გამყავს და თან ოჯახს ვახმარ თუნდაც მაღაზიაში გაყიდული ხატით გამომუშავებულ გასამრჯელოს. თორემ დივან-საფარძლების რესტავრაციაში ფულს არავის ვართმევ, თუკი მე გარკვეული თანხა არ დამიჯდა საჭირო მასალა... ვალერი შეკვეთებს ძირითადად საპატრიარქოდან იღებს. ის ხატების რეპროდუქციებს მის მიერ დამზადებულ ჩარჩოში სვამს. საჭირო მასალა ხან ელიავას ბაზრობიდან მოაქვს და ხან მეგობარი მოძღვარი ჩუქნის. მას მტვერთან მუშაობა უხდება, რაც მისი მდგომარეობისთვის დიდ რისკს შეიცავს. ამიტომაც თვალის პროტეზი ესაჭიროება, რომ საცრემლე აპკიდან მტვრის შიგნით შეტანა არ მოხდეს და ეს რისკ-ფაქტორი სამუდამოდ მოიხსნას. ვალერის ასევე, ესაჭიროება შუბლის ძვლის პროტეზი, რამეთუ მძიმე ავარიის შემდეგ მიღებულმა ტრავმამ ძვალი მთლიანად გაანადგურა და საკმარისია, მან კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა მიიღოს სახის არეში, რომ შესაძლოა ყველაფერი დასრულდეს. რამდენიმე წლის წინ მას საჭირო ოპერაციაში 3000 აშშ დოლარი თხოვეს, რისი საშუალებაც არ გააჩნია. ვალერი ურთულეს სამუშაოებს წარმოუდგენელი სიზუსტით ასრულებს. მას საკუთარი ტექნიკა აქვს გამოგონილი და დაზგასთან მხედველი ადამიანივით მუშაობს. მართალია, მისი მხედველობა,

როგორც თავად ამბობს „ნულზე ნულია“, მაგრამ სინათლე მუდმივად უნთია და არ აქრობს საქმის დასრულებამდე. ნუსხს, რომ არ აქვს სპეციალური ხელსაწყო, რომელიც მას სამუშაო მასალების საკუთარ სახელოსნოში დამზადების საშუალებას მისცემდა. ის დღემდე ყველა მასალას ელიავას ბაზრობაზე ყიდულობს, რაც უსინათლო ადამიანს ბევრ პრობლემას უქმნის: „როცა საბოლოოდ ექიმმა მითხრა, რომ სინათლეს ვერასოდეს დავიბრუნებ, ძალიან განვიცადე, ვტიროდი, ვნერვიულობდი. ახლა საამისოდ აღარც მცალია. შვილები წამოიზარდნენ, ახალი რძალი გვყავს ოჯახში, რომელიც არასოდეს დამინახავს. შეგუება მიჭირს, როცა დაფიქრდები, რომ ვერც შვილებს დავინახავ და ვერც შვილიშვილს, როცა შემეძინება. ამაზე ფიქრი არ მინდა და ჩემი საქმიანობა მეხმარება ძალიან. მე რომ არ მყოლოდა ცოლ-შვილი ნანახი ან მეგობრები ან მანქანა და მისი ტარება, სხვა არის. ახალ რეალობასთან შეგუებაა რთული, თორემ ხანდახან რომ გადავხედავ დღევანდელ ცხოვრებას, ისე გაუჭირდა ჩემ გარშემო ყველას, რომ აღარავის ელიმება და ხანდახან ვფიქრობ-ხოლმე, როგორც მათი სახეები მახსოვს გაღიმებული და ბედნიერი 20 წლის წინ, დაე, ისევე ისეთები დარჩნენ ჩემს მეხსიერებაში, ილიმის ჩემი 40 წლის რესპონდენტი და გიტარაზე თავისი მეუღლისადმი მიძღვნილ სევდიან სიმღერას ასრულებს.



სამაჟრნალო ჰელპგოგია

სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევა - დისლექსია

ნინო ლაბარტყავა

ადამიანები ვერ ხვდებიან, რომ კითხვის სწავლება დიდ დროსა და მონდომებას საჭიროებს. მე ამაზე ვწვალობდი მთელი 80 წლის მანძილზე, და კიდევ არ შემეძლია ვთქვა, რომ ამაში წარმატებული ვარ. (გოეთე 1749-1832)

ჩვენ სამყაროში გარშემორტყმულები ვართ დანერვილი ფრაზებით, სიტყვებით. ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში ბავშვები ხშირად გვეკითხებიან, თუ რა წერია ამა თუ იმ წიგნზე თუ აბრაზე. მიუხედავად იმისა, რომ დანერვილი ტექსტების მიმართ სკოლამდელ ბავშვებსაც აქვთ ბუნებრივი ინტერესი, თვითონ კითხვისა და წერის სწავლების პროცესი ხანგრძლივ და ზოგიერთი მოსწავლისათვის დამღლელ პროცედურებთან არის დაკავშირებული.

კითხვის ყველაზე გავრცელებული განმარტებებია:

„კითხვა გამოსახული სიმბოლოების მნიშვნელობის ინტერპრეტაცია“ ან „კითხვა მრავალმხრივი უნარია, რომელიც გულისხმობს გამოსახული სიმბოლოების დეკოდირებას აზრის გაგების მიზნით“.

იმისთვის, რომ მონიშნული ფრაზები ნაიკითხოთ, თქვენ ერთდროულად:

1. ახდენთ ყურადღების კონცენტრირებას დაბეჭდილ ასოებზე და მართავთ თვალის მოძრაობას ფურცელზე;

2. გარდაქმნით ასოებს ბგერებად;

3. აგებთ აზრებსა და წარმოდგენებს;

4. ადარებთ ინფორმაციას მანამდე არსებულ ინფორმაციას;

5. იმახსოვრებთ აზრებსა და ასოციაციებს.

ახალბედა მკითხველისთვის რთულია ზემოთ ჩამოთვლილი ოპერაციების შესრულება, თუმცა ნელ-ნელა ხდება მისი ავტომატიზირება. მაგრამ, ალბათ ყველას შეგვხვედრია მოსწავლე, რომლისთვისაც ზემოთ აღწერილი ოპერაციების განხორციელება განსაკუთრებით რთულია.

პრობლემის მიზეზი კი შეიძლება დასწავლის უნარის დაქვეითება, კერძოდ - დისლექსია იყოს.

სხვადასხვა ქვეყნის მონაცემებით სკოლის ასაკის ბავშვების 3-6% აქვთ კითხვის პრობლემები. დისლექსია გვხვდება ყველა კულტურაში და სოციალურ ჯგუფში. არის მონაცემები იმის შესახებ, რომ ვაჟებში დისლექსია უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე გოგონებში.

კითხვის უნარის დარღვევის დიაგნოზის დასმა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც:

• ბავშვის კითხვის დონე ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ეს მის ქრონოლოგიურ ასაკს, ინტელექტის

დონესა და ასაკის შესაფერის განათლების დონეს შეესაბამება.

•დარღვევა ხელს უშლის ბავშვს აკადემიურ მიღწევებში და ყოველდღიური ცხოვრების იმ აქტივობებში, რომლებიც მოითხოვს მისგან კითხვის უნარებს.

•კითხვის უნარის დარღვევის დიაგნოზის დასმა არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ კითხვის პრობლემები მხედველობის პრობლემებით არის გამოწვეული.

აღნიშნული პრობლემის მქონე მოსწავლეებს ხშირად ეშლებათ ერთმანეთში მსგავსი მოყვანილობის ასოები (წ, შ, ძ, ხ), კითხვისას ახდენენ ასოების გადანაცვლებას (მზე/ზმე), ბგერების „ჩაყლაპვას“ (ველოპედი - ველოსიპედის ნაცვლად).

დისლექსიის შემთხვევაში კითხვის პროცესში ვლინდება შემდეგი პრობლემები:

•ბავშვებს უჭირთ ასოების ცნობა და მათი ბგერასთან დაკავშირება;

•კითხვისას ბავშვები სიტყვებს ცვლიან მსგავსი სიტყვებით;

•სიტყვას ცვლიან სინონიმით;

•მათ უჭირთ პატარა სიტყვების (კავშირების, ნაცვალსახელების) ამოკითხვა;

•წაკითხულიდან აზრის გამოტანა.

კითხვის გარდა ბავშვის პრობლემები ვლინდება სივრცეში ორიენტაციისას:

•უჭირთ გაგება შემდეგი მიმართებების - მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ;

•მათთვის გაუგებარია ჰორიზონტის მხარეების აღმნიშვნელი ცნებები - ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი.

ზოგ შემთხვევაში პრობლემები თავს იჩენს წერის დროსაც. კერძოდ,

•მათ მიერ დაწერილი წინადადებები ძალზედ მოკლეა;

•მათ ბევრი დრო სჭირდებათ წერისას;

•ისინი არ იყენებენ სასვენ ნიშნებს, უგულვებელყოფენ გრამატიკულ წესებს;

•არ ტოვებენ მანძილებს სიტყვებს შორის, სცილდებიან ხაზებს;

•ტექსტში ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვაგვარად წერენ.

სირთულეები თავს იჩენს თანმიმდევრული მოქმედების შესრულებისასაც:

•ბავშვებს უჭირთ ზონრების შეკვრა, ვინაიდან ეს რამდენიმე მოქმედების თანმიმდევრულ განხორციელებას მოითხოვს.


მექანიკური დამახსოვრების სირთულე:

•მათთვის რთულია გამრავლების ტაბულის, ფაქტების, თარიღების, გვარების დამახსოვრება.

დროის ცნობა - მისი მართვა:

•მათ უჭირთ ციფერბლატიან საათზე დროის ცნობა. იბნევიან იმის განსაზღვრისას, თუ რას უჩვენებს დიდი ისარი და რას პატარა;

•კვირის დღეებისა და თვეების თანმიმდევრობის



დამახსოვრება.

სივრცის ორგანიზება:

•უჭირთ სივრცეში ობიექტების მონახვა, განსაკუთრებით მაშინ თუ საგანი ძალზედ გამოსაჩენ ადგილზე არ დევს;

•ისინი ხშირად კარგავენ ნივთებს;

•მათ უჭირთ ნივთების მოწესრიგება სამუშაო მაგიდაზე ან ჩანთაში.

დისლექსია შეჭიდული არის ხოლმე სხვა პრობლემებთანაც. კერძოდ, ყურადღების დეფიციტთან, ან სინათლისადმი მგრძობელობასთან. დისლექსიის მქონე ადამიანების 3-8 %-ს ახასიათებს სინათლისადმი მგრძობელობა, მათთვის ფურცლის სითეთრე უფრო მოსახვედრია თვალში, ვიდრე შავი შრიფტით დაწერილი ასოები. ასეთი ადამიანები ცდილობენ წიგნის ისე დაჭერას, რომ მას სინათლე არ ეცემოდეს.

ნეიროფიზიოლოგიური ფაქტორები

მიიჩნევა, რომ დისლექსიისას ადგილი აქვს ტვინის მცირე დისფუნქციას. მცირე დარღვევა ლოკალიზებულია ტვინის უბანში *Planum temporal*, რომელიც მოთავსებულია თავის ტვინის ქერქის სმენის ზონაში. ჩვეულებრივ, *Planum temporal* უფრო ფართეა ტვინის მარცხენა ჰემისფეროში. დისლექსიის შემთხვევაში კი აღნიშნული უბნები თანაბარი ზომისაა. ადამიანებს, რომლებსაც უჭირთ კითხვა, ხშირად აქვთ სწრაფი მეტყველების გაგების, კერძოდ კი ფონემების გარჩევის პრობლემა (Hynd, Marshal & Gonzalez, 1991).

რაც შეეხება ფერის, ფორმისა და მოძრაობის აღქმას, ამ დროს აქტიურდება ტვინის ქერქის მხედველობის ზონა. მეცნიერებმა დაადგინეს (Eden

et al, 1996), რომ კითხვის პრობლემების მქონე ადამიანებთან არ აქტიურდება აღნიშნული ზონა, კერძოდ V5, მაშინ, როდესაც ადამიანი უყურებს მოძრავ ნერტილებს. მაშ ეს დისფუნქცია შესაძლოა უფრო სერიოზულ პრობლემებსაც იწვევდეს.

სამაგიეროდ ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ რიგ შემთხვევებში მარჯვენა ჰემისფეროს დომინირების გამო კითხვის პრობლემის მქონე ბავშვები გამოირჩევიან შემოქმედებითი აზროვნებით, წარმოსახვის კარგი უნარით, ხატვის ან მუსიკალური ნიჭით.

ამგვარად, მიიჩნევა, რომ კითხვის პრობლემების ფიზიოლოგიური საფუძველი ორი ძირითადი ფაქტორით არის გამოწვეული: 1) ნევროლოგიური ხასიათის ფონემების აღქმისა და გარჩევის; 2) მხედველობითი ინფორმაციის დამუშავების ქცევისა და ფიზიოლოგიური ანომალიებით.

დისლექსიის მქონე მოსწავლის პირველი და მნიშვნელოვანი დახმარება მისი დიაგნოსტიკაა. დისლექსიის შესაფასებლად აუცილებელია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოჯახის ისტორიის, ზოგადი ინტელექტის კოეფიციენტის, ემოციური სფეროს, საბაზო აკადემიური უნარების გათვალისწინება. აუცილებლად უნდა შეფასდეს ბავშვის კითხვის, წერის, იმპრესიული და ექსპრესიული მეტყველების უნარები. ბავშვს აფასებენ - ბავშვთა ნევროპათოლოგი, ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი, პედაგოგი.

სწავლებისას მიიჩნევენ, რომ სასურველია ფონეტიკური მეთოდისა და მთლიანი ენის მიდგომის კომბინირება (Hamill, 1993). ასევე სასურველია მულტისენსორული მეთოდის გამოყენება (როდესაც კითხვის სწავლებისას ჩართულია მხედველობითი, სმენითი, კინესთეტიკური და ტაქტილური შეგრძნებები). ვინაიდან, თუ „ჩვეულებრივი“ მკითხველი ინფორმაციას მეტად იღებს ვიზუალური ან აუდიალური არხებით, დასწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლე - შეხებით ან თამაშით.

პრობლემის მიზეზის დადგენის შემდგომ დისლექსიის მქონე ბავშვებთან მუშაობა შემდეგი მიმართულებებით მიმდინარეობს ხოლმე:

ა) ფონემური ცნობიერების გასავითარებელი სავარჯიშოები:

- მუშაობა ფონემების ერთმანეთისგან გარჩევაზე;

- ზრუნვა მოსწავლის აუდიალური მესხიერების განვითარებაზე;

- ბგერების იდენტიფიცირებაზე;

- მარცვლების ბგერებად დაშლაზე.

ბ) ვიზუალური სავარჯიშოები:

- მოსწავლის დახმარება განასხვავოს ასოები ერთმანეთისგან;

- გ) ასოების წერა

- მოსწავლის დახმარება ასოს ცნობაში და ნიმუშზე დაყრდნობით მის მოხაზვაში;

- ასოების წერის ჩვევის ავტომატიზირება.

დ) თანმიმდევრული სავარჯიშოები:

- ასოების დალაგება ანბანის მიხედვით;

- ლექსიკონში სიტყვის სწრაფად მოძიების უნარის განვითარება;

- ე) სავარჯიშოები სივრცეში ორიენტაციაზე:

